გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციის და მიწის პროექტისათვის

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის

სამინისტრო

მონაწილე მხარეების ჩართულობის გეგმა

2024 მარტი

შინაარსი

1. შესავალი/პროექტის აღწერა….....3

1.1შესავალი….....3

1.2.პროექტის მიმოხილვა….....6

1.3პოტენციური გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეჯამება….....6

1.4მონაწილე მხარეთა ჩართულობის გეგმის მიზანი….....7

2. მსოფლიო ბანკის მოთხოვნები..... 8

3. პროექტთან დაკავშირებით მონაწილე მხარეების წინასწარი აქტივობების რეზიუმე..... 10

4. მონაწილე მხარეების იდენტიფიცირება და ანალიზი..... 14

5. მონაწილე მხარეთა ჩართულობის გეგმა 19

6. მონაწილე მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფის რესურსები 26

7. საჩივრების განხილვის მექანიზმი (GRM) 26

7.1საჩივრების განხილვის მექანიზმის პროცედურები.....26

7.2.საჩივრების გადაწყვეტა….....29

8. მონაწილე მხარეების ჩართულობის გეგმის მონიტორინგი და ანგარიშგება 32

9. მონაწილე მხარეების ჩართულობა მონიტორინგის აქტივობებში..... 34

10 მონაწილე მხარეებთან გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტის (ESMF) და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის (RPF) თაობაზე საწყისი კონსულტაციების შეჯამება 35

დანართები….....38

დანართი 1 საკონსულტაციო შეხვედრების ოქმები….....38

დანართი 2. უკუკავშირის ფორმა….....57

დანართი 3. საჯარო კონსულტაციების დოკუმენტი….....58

დანართი 4. საჩივრების ჟურნალი….....59

დანართი 5. საჩივრის შესახებ საჯარო ანგარიშის ფორმა….....60

1.შესავალი/პროექტის აღწერა

1.1 შესავალი

საქართველოს სოფლის მეურნეობას უდავოდ აქვს პოტენციალი, რომ ხელი შეუწყოს მწვანე, მდგრად და ინკლუზიურ განვითარებას. წლების განმავლობაში ამ სექტორში განხორციელებულმა პროექტებმა, პროგრამებმა და ინვესტიციებმა თავისი შედეგები მოიტანა. გარკვეული წარმატებებისა და პოტენციური შესაძლებლობების მიუხედავად კვლავ არსებობს რამდენიმე გამოწვევა, რომელიც ხელს უშლის სოფლის მეურნეობის სექტორის ზრდას.

მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის ბოლო მიმოხილვაში განსაზღვრულია სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით მცირე ფერმერების და აგრობიზნესების, ეფექტური და მიზნობრივი დახმარების შესაძლებლობები. ეს შეიძლება მიღწეული იქნეს სოფლის მეურნეობის ორ ქვედარგში, მიწის და წყლის სფეროში, არსებული სერიოზული დაბრკოლებების პარალელურად დაძლევის საშუალებით და ამ მიზნით საჭიროა ერთიანი და კომპლექსური საინვესტიციო პროექტების განხორციელება სოფლის მეურნეობის, წყლის და მიწის სფეროში.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, საქართველოს მთავრობამ მსოფლიო ბანკისაგან ითხოვა 150 მილიონი აშშ დოლარი მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციის და მიწის (GRAIL) პროექტის განსახორციელებლად შერჩეულ ფართობებზე ირიგაციის და მიწის მართვის გაუმჯობესების მიზნით.

პროექტი სამ კომპონენტს მოიცავს, რომლებიც ქვემოთ არის აღწერილი და მოიცავს სამშენებლო სამუშაოებს, ტექნიკურ დახმარება, ინსტიტუციონალურ განვითარებას და პროექტის ადმინისტრირების ხელშეწყობას.

1-ელი კომპონენტი: მდგრადი სარწყავი სოფლის მეურნეობა - ამ კომპონენტის ფარგლებში დაფინანსდება ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების კვლევები, სამშენებლო სამუშაოები, წყალსაცავების, საირიგაციო და სადრენაჟო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის ხარჯები და სასოფლო-სამეურნეო დახმარების პროგრამები. ამ პროგრამების მიზანია ფერმერებმა შესძლონ სს კულტურების საწარმოებლად საჭირო თანამედროვე ტექნიკა და გაუმჯობესდეს შესაბამისი უწყებების პოტენციალი სასოფლო-სამეურნეო სერვისების მიწოდების კუთხით, გაუმჯობესდეს შპს "საქართველოს მელიორაციის" და მისი სერვის ცენტრების საქმიანობა და/ან წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების (წმო-ების) ჩამოყალიბებების ხელშეწყობა GRAIL პროექტის სისტემებზე, გადასინჯული საირიგაციო ტარიფის პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების მხარდაჭერა, ახალი ჰიდრო-აგრო

ინფორმატიკის პროგრამის (HAIP) შექმნაში დახმარება გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროში.

ქვეკომპონენტი 1.1: საირიგაციო და სადრენაჟო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია;
ქვეკომპონენტი 1.2: სარწყავი სოფლის მეურნეობის და ღირებულების ჯაჭვის განვითარება;
ქვეკომპონენტი 1.3: საირიგაციო მომსახურების ეფექტურობის გაუმჯობესება.

1-ელი კომპონენტი - ამ კომპონენტის მნიშვნელოვანი ნაწილია წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების (წმო-ების) შექმნა-განვითარების ხელშეწყობა. წმო-ები პროექტის ერთ-ერთი ძირითადი მონაწილე მხარეა. მსოფლიო ბანკის დაფინანსებული ირიგაციის და მიწის ბაზრის (GILMD) პროექტის ხელშეწყობით საქართველოს მთავრობამ პოზიტიური ნაბიჯები გადადგა და 2017 წელს დაამტკიცა ირიგაციის სტრატეგია, ხოლო 2019 წელს - წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების შესახებ კანონი, როლის მიხედვითაც შპს 'საქართველოს მელიორაცია" (შპს) გახდება წყლის საბითუმო მიმწოდებელი ადგილობრივი წმო-ებისთვის, რომლებიც ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციას განახორციელებენ და ფერმერებს მიაწოდებენ წყალს. GILMD პროექტიდან მიღებული გამოცდილების საფუძველზე GRAIL პროექტი განაგრძობს უკვე ჩამოყალიბებული წმო-ების მხარდაჭერის ერთეულის და რეგიონული ერთეულების დახმარებას საოპერაციო ბიუჯეტით, ტრენინგებითა და სასწავლო ტურებით. გარდა ამისა, პროექტის საქმიანობის მიმართულებებია ა) ტრენინგებისა და ტექნიკური დახმარების განხორციელება ფერმერებისთვის პროექტის სისტემების ფართობებზე პროექტირების ეტაპზე და წყალმომხმარებლების მოტივირება ინფრასტრუქტურის პროექტირებაში და სამუშაოების მონიტორინგში მონაწილეობის მისაღებად და სამუშაოების ზედამხედველობის შესახებ უკუკავშირის უზრუნველსაყოფად; ბ) ცოდნის გავრცელება, ცნობიერების ამაღლების და საინფორმაციო კამპანიების ჩატარება ფერმერებისთვის წმო-ების კანონის, მისი სარგებლის, ხარჯების, მათი ფუნქციების და პასუხისმგებლობის განმარტების მიზნით; გ) ფერმერების დახმარება საინჟინრო, წყლის მართვის და სხვა შესაბამის საკითხებში წმო-ების შექმნის პირველ წლებში. ეს ფერმერებს მისცემს საშუალებას აიღონ პასუხისმგებლობა საველე არხების და მესამე რიგის ქსელის ექსპლუატაციასა და მოვლა-შენახვაზე.

მე-2 კომპონენტი: მიწის მართვის პოტენციალის გაუმჯობესება - ეს კომპონენტი უზრუნველყოფს ინვესტიციებს, მარეგულირებელი და საოპერაციო მხარდაჭერას მიწის მართვის და ადმინისტრირების სისტემების ოპტიმიზაციის, მიწის და უძრავი ქონების ბაზრის მონიტორინგის და განვითარების, მიწის შეფასების და დაბეგვრის პოლიტიკის და პრაქტიკის გაძლიერების მიზნით.

ქვეკომპონენტი 2.1: სასოფლო-სამეურნეო მიწის მართვის და მონიტორინგის გაუჯობესება;

ქვეკომპონენტი 2.2: მიწის ადმინისტრირების სერვისის გაუმჯობესება და ელექტრონული მმართველობის ინფრასტრუქტურის მოწყობა;

მე-3 კომპონენტი: პროექტის მართვა - ამ კომპონენტის ფარგლებში დაფინანსდება 1-ელი და მე-2 კომპონენტების მართვის საქმიანობა, მათ შორის განხორციელების კოორდინაცია და ტექნიკური ზედამხედველობა, ფინანსური მართვა, შესყიდვები, მონიტორინგი, შეფასება, მიმდინარე ანგარიშები, კომუნიკაცია.

პროექტს ორი განმახორციელებელი ერთეული ეყოლება - ერთი გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროში და მეორე - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. სამინისტრო პასუხისმგებელი იქნება 1-ელ კომპონენტზე (სოფლის მეურნეობის განვითარების დს ირიგაციის სექტორის რეგულირება და ხელშეწყობა) და
2.1 ქვეკომპონენტზე (სასოფლო-სამეურნეო მიწის მართვის და მონიტორინგის გაუმჯობესება) მიწის მართვის სააგენტოს საშუალებით. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში იქნება ციფრული მმართველობის სააგენტო. ის ხელს შეუწყობს ინფორმაციული ტექნოლოგიების საქმიანობის განხორციელებას 2.2 ქვეკომპონენტის (მიწის ადმინისტრირებსაის სერვისის გაუმჯობესება და ელექტრონული მმართველობის ინფრასტრუქტურის მოწყობა) ფარგლებში.

პროექტს ექნება მოქალაქეების ჩართულობის ინდიკატორი, რომლითაც გაიზომება ფერმერთა საინიციატივო ჯგუფის იმ წევრთა რაოდენობა, რომლებიც აცხადებენ, რომ ჯგუფის შეხვედრების საშუალებით ხდება მათი მოსაზრებების და გამოხმაურების გათვალისწინება საირიგაციო სამუშაოების და მომსახურების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. ამ მაჩვენებლის გაზომვა მოხდება ნახევარ წელიწადში ერთხელ ჯგუფის წევრებისთვის დარიგებული კითხვარების საშუალებით

კომპონენტი 4: საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება - ადგენს კატასტროფებზე რეაგირების დაფინანსების მექანიზმს, რომელიც შეიძლება ამოქმედდეს დასაშვები კრიზისის ან საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში, როგორიცაა ბუნებრივი კატასტროფა, რომელიც მოიცავს ეროვნული ან რეგიონული საგანგებო მდგომარეობის ოფიციალურ გამოცხადებას ან ოფიციალურ მოთხოვნას. საქართველოს მთავრობისგან კატასტროფის, ჯანმრთელობის პანდემიის ან სხვა სახის კატასტროფების გამო, როგორიცაა შეიარაღებული კონფლიქტი.

პროექტს განახორციელებს ორი პროექტის განმახორციელებელი ერთეული (PIUs) გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (MEPA) და ქონების რეესტრის ეროვნული სააგენტო (NAPR). MEPA პასუხისმგებელი იქნება 1 კომპონენტზე - სოფლის მეურნეობის განვითარების რეგულირება და ხელშეწყობა, ასევე სარწყავი სექტორი და ქვეკომპონენტი 2.1 - სასოფლო-სამეურნეო მიწის მენეჯმენტი და მონიტორინგი მიწის მართვის სააგენტოს მეშვეობით; NAPR უმასპინძლებს ციფრული მმართველობის

სააგენტოს იუსტიციის სამინისტროს ქვეშ დაქვემდებარებულს და უზრუნველყოფს IT აქტივობების განხორციელების მხარდაჭერას ქვეკომპონენტ 2.2-ის ფარგლებში - მიწის ადმინისტრირების სერვისების გაძლიერება და ციფრული მმართველობის ინფრასტრუქტურის მშენებლობა.

პროექტს ცალსახად ექნება მოქალაქეთა ჩართულობის ინდიკატორი, რომელიც გაზომავს ფერმერთა საინიციატივო ჯგუფის (FIG) წევრთა პროცენტს, რომლებიც აცხადებენ, რომ FIG შეხვედრები ეფექტურია მათი უკუკავშირის ჩართვაში სარწყავი სამუშაოებისა და სერვისების შესახებ გადაწყვეტილებაში. ეს შეფასდება ნახევარწლიურად FIG წევრებს შორის კითხვარების მეშვეობით.

1.2. პროექტის მიმოხილვა

1.1. ქვეკომპონენტის (საირიგაციო და სადრენაჟო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია) ფარგლებში პროექტის მიზანია 5 საირიგაციო სისტემის, 1 არსებული წყალსაცავის და 1 სადრენაჟო სისტემის რეაბილიტაცია. სამშენებლო სამუშაოები საქართველოს 5 რეგიონში - კახეთში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, მცხეთა- მთიანეთში და სამეგრელო-ზემო სვანეთში.

1.3 პოტენციური გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეჯამება

ქვემოთ ჩამოთვლილია პროექტის პოტენციური გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედება, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მონაწილე მხარეების ჩართულობის ფარგლებში:

- სამშენებლო სამუშაოების პოტენციური ზემოქმედება ლანდშაფტზე და ბუნებრივ გარემოზე

- ეროზია და ნიადაგის ზედა ფენის განადგურება ტერიტორიის გაწმენდის და მცენარეული საფარის მოცილების და/ან გრუნტის ამოღების გამო. აფეთქებებით, კოშკურების მოწყობით, ტექნიკის მუშაობით, კარიერებით, შემავსებლების მოპოვებით და/ან კოშკურების ჩამონგრევით გამოწვეული ზემოქმედება;

- ავტომობილების და აღჭურვილობის გადაადგილებით, მიწის სამუშაოებით, ნიადაგის ზედა ფენის და ნაყარის ღია ადგილას შენახვით, შიდა წვის ძრავების და/ან გადაცემის ხაზებით გამოწვეული პოტენციური ზემოქმედება;

- სამშენებლო ტექნიკის და ავტომობილების ხმაურის, მტვრის, ნარჩენების და გარემოს პირობების სიმყუდროვის დარღვევით გამოწვეული ზემოქმედება;

- ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედება, პროექტი პოტენციურად შეიძლება გავლენას ახდენდეს ფრინველებზე და ღამურებზე. გადაცემის ხაზები

ფრინველების მიგრაციის მნიშვნელოვან მარშრუტთან ახლოს მდებარეობს და სხვა პოტენციურად სენსიტიურ ადგილებზეც ახდენს ზემოქმედებას;

- მიწის შესყიდვით ან მიწათსარგებლობის შეზღუდვით გამოწვეული ზემოქმედება (ვინაიდან პროექტი სარეაბილიტაციო სამუშაოებს ითვალისწინებს, არ არის მოსალოდნელი განსახლება. მიწის შეძენის ან მიწათსარგებლობის შეზღუდვის შემთხვევაში გათვალისწინებული იქნება კომპენსაციები);

- შრომის უსაფრთხოების და ჯანდაცვის რისკები, მათ შორის კაშხლების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები;

- წყლის რესურსებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი დაძაბულობა და კონფლიქტები თემებს და ფერმერებს შორის;

- ეკონომიკური ზემოქმედება, მაგალითად მოსავლის განადგურება ან დაზიანება, ხეების განადგურება, ნაგებობების ანს ხვა აქტივების განადგურება სამუშაოების გამო, ასევე ნაკვეთებზე შესვლის, ადამიანების ან საქონლის უსაფრთხო გადაადგილების შეზღუდვა და სხვა.

1.4 მონაწილე მხარეთა ჩართულობის გეგმის მიზანი

GRAIL პროექტის მონაწილე მხარეთა ჩართულობის გეგმა (SEP) მსოფლიო ბანკის მოთხოვნების შესაბამისად მომზადდა. ამ გეგმის მიზანია 1-ელი და მე-2 კომპონენტების მონაწილე მხარეთა ეფექტური ჩართვა პროექტში.

პროექტის წარმატებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი მოსახლეობის, მცირე და საშუალო აგროსაწარმოების და მეურნეობების ჩართულობას. ეს უზრუნველყოფს პროექტის თანამშრომლებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის თანამშრომლობას, მინიმუმამდე შეამცირებს პროექტთან დაკავშირებულ გარემოსდაცვით და სოციალურ რისკებს, გააძლიერებს პროექტის სარგებელს სამიზნე ბენეფიციარებისთვის, მათ შორის მოწყვლადი, დაუცველი და პროექტის ძლიერი ზემოქმედებისა ქვეშ მოხვედრილი პირებისთვის.

მონაწილე მხარეების ჩართულობის გეგმის მიზანია 1-ელი და მე-2 კომპონენტების ფარგლებში სამიზნე ჯგუფების, მონაწილეთა ჩართვის მეთოდების და ამ საქმიანობის განხორციელებაზე პასუხისმგებლობის და ფუნქციების განსაზღვრა. გეგმის დანიშნულებაა პროექტის მომზადების და განხორციელების ეტაპებზე მონაწილე მხარეების ჩართულობის დროულად უზრუნველყოფა. მონაწილე მხარეების ჩართულობის გეგმის კონკრეტული მიზნებია:

I.მონაწილე მხარეების იდენტიფიცირება და ანალიზი;

II.ჩართულობის ფორმის და ეფექტური კომუნიკაციის ინსტრუმენტების დაგეგმვა

III. კონსულტაციებისა და ინფორმაციის გაზიარების მიზნით;

IV. გეგმის განხორციელებაში მონაწილეთა და ფუნქციების განსაზღვრა;

V. პროექტის საჩივრების განხილვის მექანიზმის შექმნა;

VI. მონაწილე მხარეთა უკუკავშირის უზრუნველყოფა;

VII. მონაწილე მხარეების ჩართულობის გეგმის მონიტორინგი და ანგარიშგება.

მონაწილე მხარეების ჩართულობის გეგმის მიზანია შესაბამის მონაწილეთა იდენტიფიცირების და მათი სრული ჩართულობის უზრუნველყოფის მეთოდების განსაზღვრა. ეს გეგმა მიმართულია გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაუმჯობესება-ხელშეწყობისკენ და ითვალისწინებს მონაწილეების და სხვა მხარეების აქტიურ ჩართულობას. ეს გეგმა სასარგებლო ინსტრუმენტია პროექტის მართვის ერთეულსა და მონაწილე მხარეებს შორის კომუნიკაციის მართვისთვის.

2. მსოფლიო ბანკის მოთხოვნები

მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური ჩარჩოს გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტში (ESS) 10 (მონაწილე მხარეების ჩართულობა და ინფორმაციის გასაჯაროება) აღნიშნულია: „სესხის ამღებსა და მონაწილე მხარეებს შორის ღია და გამჭვირვალე ურთიერთობა კარგი საერთაშორისო პრაქტიკის უმნიშვნელოვანესი ელემენტია“ (მსოფლიო ბანკი, 2017: 97)[1]. ESS10 სტანდარტში შემდეგი მოთხოვნებია ჩამოყალიბებული:

- „სესხის ამღებმა პროექტის მთელი სასიცოცხლოს ციკლის განმავლობაში უნდა ითანამშრომლოს მონაწილე მხარეებთან. ეს თანამშრომლობა პროექტის შემუშავების მაქსიმალურად ადრეულ ეტაპზე უნდა დაიწყოს და ისეთი გრაფიკის მიხედვით განხორციელდეს, რომ მონაწილე მხარეებთან გაიმართოს კონსულტაციები პროექტის საპროექტო დოკუმენტაციის თაობაზე. მონაწილე მხარეების ჩართულობის ფორმა, ხასიათი და სიხშირე პროექტის მასშტაბის და

[1] https://thedocs.worldbank.org/en/doc/837721522762050108-0290022018/original/ESFFramework.pdf#page=111&zoom=80

სპეციფიკის, ასევე პოტენციური რისკების და ზემოქმედების შესაბამისად უნდა განისაზღვროს.
- სესხის ამღებმა უნდა ჩაატაროს კონსულტაციები ყველა მონაწილე მხარესთან. სესხის ამღებმა მონაწილე მხარეებს დროულად უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მათთვის გასაგები და ხელმისაწვდომი ფორმით. ჩაატაროს მათთან კონსულტაციები მათ საზოგადოებაში მიღებული ფორმით მანიპულაციის, ჩარევის ზეწოლის, დისკრიმინაციის და დაშინების გარეშე.
- მონაწილე მხარეების ჩართულობის პროცესი შემდეგ ასპექტებს მოიცავს, რომლებიც დეტალურად არის განსაზღვრული გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტში (ESS): (i) მონაწილე მხარეების იდენტიფიცირება და ანალიზი; (ii) მონაწილე მხარეებთან თანამშრომლობის დაგეგმვა; (iii) ინფორმაციის გასაჯაროება; (iv) კონსულტაციები მანაწილე მხარეებთან; (v) საჩივრების განხილვა და რეაგირება; (vi) მონაწილე მხარეების წინაშე ანგარიშგება.
- სესხის ამღებმა უნდა აწარმოოს და გაასაჯაროოს მონაწილე მხარეების ჩართულობის დოკუმენტი, ეს დოკუმენტი გარემოსდაცვითი და სოციალური შეფასების ნაწილია და უნდა შეიცავდეს მონაწილე მხარეების და მათთან კონსულტაციების აღწერას, მიღებული უკუკავშირის რეზიუმეს და მოკლე განმარტებას, თუ როგორ იქნა გათვალისწინებული მიღებული გამოხმაურება და თუ არ იქნა გათვალისწინებული, რა მიზეზების გამო.“ (მსოფლიო ბანკი, 2017:98).

სესხის ამღებმა უნდა მოამზადოს პროექტის მასშტაბების და სპეციფიკის, ასევე პროექტის პოტენციური რისკების და ზემოქმედების შესაფერისი მონაწილე მხარეების ჩართულობის გეგმა. ეს გეგმა მაქსიმლურად ადრეულ ეტაპზე უნდა გასაჯაროვდეს პროექტის დამტკიცებამდე. სესხის ამღებმა უნდა მიიღოს მონაწილე მხარეების გამოხმაურება ჩართულობის გეგმაზე, მათ შორის მონაწილე მხარეების იდენტიფიცირების და მომავალი ჩართულობის შესახებ წინადადებების ნაწილში. თუ გეგმაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევა, სესხის ამღებმა უნდა გაასაჯაროოს განახლებული გეგმა (მსოფლიო ბანკი, 2017:99). ESS10 სტანდარტის შესაბამისად სესხის ამღებმა უნდა შექმნას საჩივრების განხილვის მექანიზმი, რომლის მიზანი იქნება პროექტის გარემოსდაცვით და სოციალურ ზემოქმედებასთან დაკავშირებით არსებული საჩივრების მიღება და დროულად მოგვარება (მსოფლიო ბანკი, 2017:100).

3. პროექტთან დაკავშირებით მონაწილე მხარეების წინასწარი აქტივობების რეზიუმე

გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაწილე მხარეებთან აქტიური თანამშრომლობის გამოცდილება აქვთ. ქვემო სამგორის საირიგაციო სისტემის და ზეა რუს შიდასამეურნეო ქსელის რეაბილიტაციის დეტალური პროექტირებისას შესაბამის სოფლებში მოეწყობა რამდენიმე საკონსულტაციო შეხვედრა ადგილობრივ ფერმერებთან. მათ გააცნეს პროექტის ძირითადი ელემენტები და ფერმერების მოსაზრებები მაქსიმალურად იქნა გათვალისიწინებული საბოლოო პროექტის შედგენისას.

ცხრილი 1: პროექტთან დაკავშირებით მინაწილე მხარეების წინა აქტივობების რეზიუმე

თარიღი და ადგილი	**მონაწილე მხარე**	**ფორმატი და მიზნები**	**შედეგი**
2018 წლის 15 ნოემბერი საგარეჯო, იორმუღანლო	იორმუღანლო - 11 ფერმერი; - 7 მერიის წარმომადგენელი; საგარეჯო - 7 ფერმერი 3 მერიის წარმომადგენელი	შეხვედრა ფერმერთა ჯგუფებთან დისკუსიები დეტალურ პროექტირებაში, მშენებლობაში და შიდასამეურნეო ქსელის გაუმჯობესებაში.	ფერმერების მონაწილეობა პროექტირების პროცესში, მშენებლობაში და შიდასამეურნეო ქსელის გაუმჯობესებაში.
2019 წლის 11 აპრილი საგარეჯო, იორმუღანლო	წყალმომხმარებელთა საბჭო გ- 33-ზე (დუზაგრამა, იორმუღანლო, ლამბალო, თულარი) . - 5 წყალმომხმარებელი - 2 სოფლის გამგებელი (ადმინისტრაციული ერთეული); - 1 სოფლის გამგებლის თანაშემწე (ადმინისტრაციული ერთეული); - 1 შპს-ს სერვის ცენტრის წარმომადგენელი	წყალმომხმარებელთა საბჭოს წევრებთან შეხვედრა პროექტირების და დამპროექტებლების ზოგადი მიდგომების განხილვა წყალმომხმარებელთა საბჭოს დეტალურ პროექტირებაში მონაწილეობის განხილვა	საბჭოს წევრებს მისცეს პირობა, რომ ზემოაღნიშნული საკითხები მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული პროექტის სპეციფიკის შესაბამისად.

2019 წლის 3 აპრილი საგარეჯო, შპს-ს სერვის ცენტრი	წყალმომხმარებელთა საბჭოებთან შეხვედრა; პროექტირების პროცესის სტატუსის და დამპროექტებლების ზოგადი მეთოდების განხილვა; საბჭოების დეტალურ პროექტირებაში მონაწილეობის საკითხის განხილვა	წყალმომხმარებელთა საბჭო – გ1- გ16 (საგარეჯო, წყაროსთავი, ნინოწმინდა) - 4 წყალმომხმარებელი - 1 სოფლის გამგებელი (ადმინისტრაციული ერთეული); - 1 სპეციალისტი ადგილობრივი ადმინისტრაციიდან (ადმინისტრაციული ერთეული); - 1 შპს-ს სერვის ცენტრის წარმომადგენელი წყალმომხმარებელთა საბჭო – გ-17-გ-30 (გიორგიწმინდა)	ყველა მხარეს შორის თანამშრომლობის ზომების შემუშავება და შეთანხმება საველე კვლევის განსახორციელებლად.

		- 2 წყალმომხმარებელი; - 1 სოფლის გამგებელი (ადმინისტრაციული ერთეული) - 1 შპს-ს სერვის ცენტრის წარმომადგენელი	
2021 წლის 24 ივნისი საგარეჯო, შპს-ს სერვის ცენტრი იორმუღანლო, საზოგადოებრივი ცენტრი	სემინარი საინიციატივო ჯგუფებისთვის ფერმერთა საინიციატივო ჯგუფების იდენტიფიცირება და მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ ინფორმირება ფერმერებთან და ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლებთან შეხვედრა. საინიციატივო ჯგუფების იდენტიფიცირება და განახლება განახლებული ინფორმაციის მიწოდება შიდა სამეურნეო ქსელზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების (ქვემო სამგორის სისტემის ფართობი) და ფერმერთა საინიციატივო ჯგუფების რეაბილიტაციის თაობაზე კონსულტაციებში მონაწილეობის შესახებ.	საგარეჯო - 6 წყალმომხმარებელი/ფერმერი (საგარეჯო, ნინოწმინდა); - 3 გამგებლის წარმომადგენელი - 1 საკრებულოს წარმომადგენელი - 3 შპს-ს საგარეჯოს სერვის ცენტრის წარმომადგენლები; იორმუღანლო - 4 წყალმომხმარებელი/ფერმერი (იორმუღანლო, დუზაგრამა, თულარი, ლამბალო); - 3 გამგებლის წარმომადგენელი; - 1 შპს-ს საგარეჯოს სერვის ცენტრის წარმომადგენელი;	შეხვედრის მონაწილეებმა გამოხატეს მზადყოფნა გახდნენ საინიციატივო ჯგუფების წევრები და წერილობითი ფორმით გამოხატეს თანხმობა
2021 წლის 27 დეკემბერი საგარეჯო, კულტურის სახლი	მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ ინფორმირება ფერმერების საინიციატივო ჯგუფების/სხვა ფერმერების და სამშენებლო კომპანიის წარმომადგენლების შეხვედრაზე. განახლებული ინფორმაციის მიწოდება შიდასამეურნეო ქსელზე (ქვემო სამგორის სისტემის ფართობი) მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების და ფერმერთა	საგარეჯო - 26 წყალმომხმარებელი/ფერმერი- 1 საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი; - 1 საკრებულოს თავმჯდომარე; - 1 ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენელი (სოფლები); - 1 შპს-ს სერვის ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე; - 1 შპს-ს სერვის ცენტრის წარმომადგენელი	

	საინიციატივო ჯგუფების ჩართულობას შესახებ რეაბილიტაციის თაობაზე კონსულტაციებში.		

ქვემო სამგორის შიდა საირიგაციო ქსელის თანამედროვე სისტემაა, რომელიც დაწნევითი მილსადენებისა და სხვადასხვა ტიპის ჰიდრანტებისგან შედგება. სამშენებლო სამუშაოების პროცესში მიმდინარეობს აქტიური კომუნიკაცია ადგილობრივ მიწათმფლობელებთან. ამ კომუნიკაციის შედეგად ფერმერების მოთხოვნების მიხედვით ხანდახან ხდება ჰიდრანტების ტიპის ან მდებარეობის შეცვლა. პროექტის განმახორციელებელი ერთეული ინტენსიური ტრენინგებს უტარებს ფერმერებს სისტემის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის საკითხებში. ეს ტრენინგები მოიცავს ასევე საჩივრების განხილვის მექანიზმს, კერძოდ როგორ უნდა მოხდეს საჩივრების იდენტიფიცირება, შეგროვება და განხილვა მრავალი სხვადასხვა არხის საშუალებით. სამშენებლო კომპანიებს ასევე აქვთ საჩივრების ჟურნალები და საჩივრების ყუთები.

პროექტის განმახორციელებელი ერთეული განაგრძობს კომუნიკაციას ადგილობრივ მოსახლეობასთან ძირითადად სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის კონსულტანტის და სამშენებლო კომპანიის საშუალებით. ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრები ძირითადად პროექტის და საჩივრების განხილვის მექანიზმის შესახებ მათი ინფორმირების და ცნობიერების ამაღლების მიზნით ტარდება. პროექტის განხორციელების პერიოდში განმახორციელებლ ერთეულს და სხვა მონაწილე მხარეებს არ მიუღია წერილობითი საჩივრები. აქედან გამომდინარე, პროექტის განმახორციელებელმა ერთეულმა გადაწყვიტა სხვა მიდგომების გამოყენება საჩივრების განხილვის მექანიზმის შესახებ მოსახლეობის ინფორმირების მიზნით.

4. მონაწილე მხარეების იდენტიფიცირება და ანალიზი

პროექტის მონაწილე მხარეებია ის პირები, საწარმოები, ჯგუფები ან სხვა ერთეულები, რომლებიც

1. რეალურად ან პოტენციურად მოხვდნენ პროექტის პირდაპირი ან არაპირდაპირი, დადებითი ან უარყოფითი ზემოქმედების ქვეშ (მათ ასევე „პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები“ ეწოდებათ);
2. შეიძლება ჰქონდეს ინტერესი პროექტში („სხვა დაინტერესებული მხარეები“). ისინი შეიძლება ინდივიდები ან ჯგუფები იყოს, რომელთა ინტერესებზე პროექტი ახდენს ზემოქმედებას და რომლებსაც აქვთ პროექტის შედეგებზე გავლენის მოხდენის პოტენციალი.

პროექტის მომზადებისას მონაწილე მხარეებთან თანამშრომლობის და მოლაპარაკებების დროს უნდა განისაზღვროს ის პირები ჯგუფებში, რომლებიც ამ ჯგუფების კანონიერ წარმომადგენლები არიან, ანუ მათი ჯგუფის წევრებმა მათ მიანდეს თავისი ინტერესების დაცვა პროექტთან მიმართებაში. ამ წარმომადგენლებს აქვთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია ადგილობრივი სპეციფიკის შესახებ. ისინი პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის მთავარი გამავრცელებლების და პროექტსა და სამიზნე თემებს შორის მაკავშირებელი რგოლის ფუნქციებს ასრულებენ. მონაწილე მხარეებთან კონტაქტის დამყარების უდიდესი მნიშვნელობა აქვს წარმომადგენლების ვერიფიკაციას (ანუ დადასტურებას, რომ ისინი მათ მიერ წარმოდგენილი ჯგუფის ინტერესების ჭეშმარიტი და კანონიერი დამცველები არიან).

პროექტის მონაწილე მხარეების საუკეთესო პრაქტიკის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საჭიროა შემდეგი პრინციპების დაცვა:

- ღიაობა და პროცესის ცოცხალ ციკლად აღქმა: პროექტის შესახებ საჯარო კონსულტაციები პროექტის მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში ჩატარდება. ისინი უნდა იყოს ღია, გარეშე პირების მანიპულაციების, ჩარევის, ზეწოლის და დაშინების გარეშე;

- ინფორმირებული მონაწილეობა და უკუკავშირი: ინფორმაცია სათანადო ფორმით უნდა იქნეს მიწოდებული და გავრცელებული მონაწილე მხარეებს შორის; უზრუნველყოფილი უნდა იყოს უკუკავშირის შესაძლებლობები მონაწილე მხარეებისთვის, მათი კომენტარების და პრეტენზიების (საცივრების) ანალიზი და მიმოხილვა (უკუკავშირის ფორმის შაბლონი ამ გეგმის 1-ელ დანართშია წარმოდგენილი);

- ინკლუზიურობა და სენსიტიურობა: მონაწილე მხარეების იდენტიფიკაცია კომუნიკაციის გაუმჯობესების და ეფექტური ურთიერთობის შესაქმნელად. პროექტებისთვის მონაწილეობის პროცესი ინკლუზიურია, რაც გულისხმობს იმას, რომ ყველა მონაწილე მხარე მაქსიმალურად უნდა იყოს ჩართული კონსულტაციებში, იმის მიხედვით, თუ რა საშუალებას იძლევა არსებული მდგომარეობა. ს ყველა მონაწილე მხარეს ინფორმაციაზე თანაბარი წვდომა ექნება. ჩართულობის მეთოდების შერჩევა მონაწილე მხარეების საჭიროებებისადმი სენსიტიურობის პრინციპზე უნდა იყოს დაფუძნებული. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მოწყვლად (დაუცველ) პირებს, განსაკუთრებით ქალებს, ახალგაზრდებს, მოხუცებულებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირებს, ასევე სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების კულტურულ თავისებურებებს.

პროექტის მონაწილე მხარეებია მთავრობის, კერძო სექტორის, შესაბამისი რეგიონის/სოფლის წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული მხარეები. ეფექტური და კონკრეტულ საჭიროებებზე მორგებული ჩართულობის უზრუნველსაყოფად პროექტის მონაწილე მხარეები შემდეგ ძირითად კატეგორიებად უნდა დაიყოს:

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები – პროექტის გავლენის არეალში მყოფი/მდებარე პირები. ჯგუფები და ერთეულები, რომლებიც პროექტის ფაქტიური ან პოტენციური ზემოქმედების ქვეშ არიან მოქცეული ან ყველაზე მგრძნობიარე შეიძლება აღმოჩნდნენ პროექტთან დაკავშირებული ცვლილებების მიმართ. ისინი აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული პროექტის ზემოქმედების და მისი სიძლიერის

განსაზღვრაში, ასევე ზემოქმედების შემცირების და მართვის ზომების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში. ეს პირები და ერთეულებია:

- საშუალო და მცირე აგროსაწარმოები და მათი თანამშრომლები;
- საშუალო და მცირე ფერმერები;
- სასოფლო-სამეურნეო ღირებულების ჯაჭვის სხვა მონაწილეები (გადამამუშავებელი საწარმოები, სასაწყობო მეურნეობები, ტექნიკის და სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის საჭირო მასალების მიმწოდებლები) და მათი თანამშრომლები;
- ის პირები ან კომპანიები, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო მიწების ტრანზაქციებში შეიძლება მონაწილეობდნენ (როგორც მესაკუთრეები ან მოიჯარეები);
- ის ადამიანები რომლებზეც გავლენას მოახდენს მიწის შესყიდვა (ვინც პროექტისთვის საჭირო მიწების შესყიდვის გამო კარგავს აქტივებს და/ან კერძო მიწის ნაკვეთებს ან საერთო საკუთრებაში არსებულ რესურსებზე წვდომას);
- პროექტის ფართობზე მცხოვრები მოსახლეობა (თუ ისინი სამშენებლო სამუშაოების განხორციელების ადგილას ცხოვრობენ), მათ შორის მოსახლეობის დაუცველი ფენები, მაგალითად შშმ პირები, იძულებით გადაადგილებული პირები და ეთნიკური უმცირესობები.
- ის თემები და საზოგადოება, რომელზედაც პროექტმა შეიძლება პოტენციური ზემოქმედება მოახდინოს.

პროექტის ბენეფიციარების რაოდენობა დაახლოებით 36,000-ია. ეს რაოდენობა დაზუსტდება სამუშაოების მასშტაბების ანუ პროექტის ფარგლებში სარეაბილიტაციო საირიგაციო სისტემების და ფართობების საბოლოოდ განსაზღვრის შემდეგ განხორციელების პირველ წელს. ეს დამოკიდებულია წინასწარ ჩამონათვალში შეტანილი სისტემების ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებაზე და პროექტებზე. შერჩეულ საირიგაციო სისტემებზე ბენეფიციარების 95% მცირე ფერმერებია (1ჰა-ზე ნაკლები მიწის ნაკვეთით). ამ ბენეფიციარ ფერმერებს შორის არიან ქალები, მცირეშემოსავლიანი ოჯახები და სხვა. დაახლოებით 16,500 ბენეფიციარი რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ქალებია, ანუ ბენეფიციარების დაახლოებით 45% ქალებია. ისინი მიიღებენ სარგებელს გაუმჯობესებული საირიგაციო მომსახურებიდან, სასოფლო-სამეურნეო წარმოების და პროდუქტიულობის გასაზრდელად განხორციელებული დახმარებიდან და ღირებულების ჯაჭვის განვითარებისგან. 1-ელი კომპონენტის საქმიანობა ისე დაიგეგმა, რომ უზრუნველყოფილი იყოს ქალების და ქალთა ჯგუფების პროაქტიური ჩართულობა და სარგებლის თანაბრად განაწილება. საირიგაციო მომსახურების გაუმჯობესება მრავალ სარგებელს მოუტანს ამ ჯგუფებს, მაგალითად შემოსავლების ზრდას, სარწყავ სოფლის მეურნეობაში დასაქმების შესაძლებლობას, გვალვებისა და წყალდიდობისადმი მდგრადობის გაუმჯობესებას და სხვა.

სხვა დაინტერესებული პირები – ის პირები/ჯგუფები/ერთეულები, რომლებიც არ არიან პროექტის პირდაპირი ზემოქმედების ქვეშ, მაგრამ მიაჩნიათ, რომ პროექტი გავლენას ახდენს მათ ინტერესებზე ან რომლებსაც შეუძლიათ გავლენის მოხდენა პროექტზე ან მის განხორციელებაზე. ეს პირებია:

- შპს 'საქართველოს მელიორაცია" მისი რეგიონული სერვის ცენტრების ჩათვლით;
- სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურები;
- საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკი);
- სახელმწიფო უწყებები, რომლებიც სხვადასხვა დინეზე მონაწილეობენ კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების დაკანონებაში, კერძოს საკრებულოები, გამგეობები, რეგისტრაციის ოფისები და საკუთრების უფლებების აღიარების კომისიები;
- სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტორი;
- სამოქალაქო საზოგადოება - ამ დარგში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები და ასოციაციები (გაერთიანებები), მაგალითად საქართველოს ფერმერთა ასოციაცია. იძულებით გადაადგილებულ პირთა და ეთნიკური უმცირესობების განსახლების ადგილებში პროექტში ჩართული უნდა იყოს ამ პირთა საკითხებზე მომუშავე არასამათავრობო ორგანიზაციები;
- გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის განვითარების სააგენტო;
- გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწის მართვის სააგენტო;
- იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;
- იუსტიციის სამინისტროს და ეკონომიკის და მდგრადი განვითარებიოს სამინისტროს ციფრული მმართველობის სააგენტო;
- კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტრო;
- ფინანსთა სამინისტრო;
- იუსტიციის სამინისტრო;
- საქართველოს სასამართლო.

მოწყვლადი ჯგუფები – ის პირები, რომლებიც თავისი სტატუსი გამო შეიძლება პროექტის უფრო ძლიერი ზემოქმედების ქვეშ აღმოჩნდნენ ან პროექტის გამო მათი მდგომარეობა გაუარესდეს და/ან საჭიროა დამატებითი ძალისხმევა, რომ მათ პროექტიდან სარგებლის მიღების თანაბარი შესაძლებლობები ჰქონდეთ და უზრუნველყოფილი იყოს მათი მონაწილეობა პროექტთან დაკავშირებულ კონსულტაციებში და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ეს ჯგუფებია:

ფერმერი ქალები

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირები
- ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოწყვლადი კომლები/ოჯახები
- სოფლად მცხოვრები პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი კომლები/ოჯახები
- შორეულ ან მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები პროექტის ზემოქმედების

ქვეშ მყოფი კომლები/ოჯახები

- ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი კომლები/ოჯახები
- კონფლიქტის ზონაში/კონფლიქტის ზონის მოსაზღვრე არეალზე მცხოვრები პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი კომლები/ოჯახები
- იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების ადგილებში მცხოვრები პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი კომლები/ოჯახები
- ღარიბი და უმუშევარი კომლები და ოჯახები
- ახალგაზრდები - 18-29 წლის პირები.

პროექტის განხორციელების პერიოდში ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების, დაინტერესებული პირების და მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიცირებასთან ერთად მოხდება მათი ინტერესების გათვალისწინება და მათი ასახვა მონაწილე მხარეების ჩართულობის გეგმაში.

წინასწარ ჩამონათვალში შეტანილ ორ საირიგაციო სისტემაზე განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა მოწყვლადი მოსახლეობა. შიდა ქართლის რეგიონში არსებული ტირიფონის სისტემა ყველაზე დიდია წინასწარ შერჩეული სისტემებიდან და კონფლიქტის ზონასთან ახლოს მდებარეობს. შიდა ქართლის რეგიონში 2008 წლის ომის შედეგად ცხინვალის რეგიონიდან გამოქცეული იძულებით გადაადგილებულ პირთა ყველაზე დიდი რაოდენობა ცხოვრობს. შიდა ქართლში იძულებით გადაადგილებულ პირთა 75 დასახლებაა და 17,000 იძულებით გადაადგილებული პირი ცხოვრობს.[2] ტირიფონის საირიგაციო სისტემასთან ახლოს მდებარე სოფლებია კარალეთი, შავშვები, ბერბუკი და ხურვალეთი. ამ სოფლებში ცხოვრების პირობები არადამაკმაყოფილებელია. სოფლების მოსახლეობას სოციალურ და ჯანდაცვის ინფრასტრუქტურაზე (სკოლები, კლინიკები და სხვა) შეზღუდული წვდომა აქვს და არა აქვს საკმარისი სასოფლო-სამეურნეო მიწა. გარდა ამისა, ზოგიერთ სოფელს სასმელი წყლის და კანალიზაციის პრობლემები აქვს.[3] 2008 წლის ომის შემდეგ შექმნილი იძულებით გადაადგილებულ პირთა ყველაზე მსხვილი დასახლებაა წეროვანი, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში.

ზედა არხის საირიგაციო სისტემა მდებარეობს ბოლნისის მუნიციპალიტეტში, რომლის მოსახლეობა 56,000 ადამიანს შეადგეს და მოსახლეობის ბოლო აღწერის შედეგების მიხედვით მათი 60% აზერბაიჯანელია.4 ქვემოთ მოცემულ საქართველოს ეთნიკურ რუკაზე ნაჩვენებია აზერბაიჯანელების დასახლებასაქართველოში (მწვანე ფერში).

---

[2] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი დევნილთა ჩასახლებები და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფილი ოჯახების რაოდენობა (2009-2015) https://idfi.ge/ge/number-of-provided-living- areas-for-idps

[3] GeoWel Research *Baseline Survey of the IDP Settlements and their Neighbouring Communities in Kvemo Kartli and Shida Kartli* https://geowel.org/wp-content/uploads/2021/04/idp_research_geowel_2010_full_eng.pdf



ამ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ახალგაზრდები კარგად ფლობენ ქართულს, მაგრამ უფრო ასაკოვანმა ადამიანებმა ქართული კარგად არ იციან. ეს გათვალისწინებული უნდა იყოს მონაწილე მხარეების ჩართულობის გეგმაში.

საქართველოში რეგისტრირებული შშმ პირების 10% სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ცხოვრობს, 9%- კახეთში, 8% - ქვემო ქართლში, 7% - შიდა ქართლში. საქართველოში არ ჩატარებულა შშმ პირების ცალკე აღწერა და შესაძლოა მათი რაოდენობა უფრო დიდი იყოს. საქართველოში შშმ პირის სტატუსის მინიჭების ტრადიციული მეთოდოლოგია გამოიყენება, რომელიც ძირითადად სამედიცინო ასპექტზეა დაფუძნებული და არ ითვალისწინებს სოციალური საჭიროებების და ფუნქციების უფრო კომპლექსურ შეფასებას. ტრადიციული მეთოდოლოგიის გამოყენების შედეგად შშმ პირების აღრიცხული რაოდენობა ქვეყანაში რეალურზე ნაკლებია და ზემოქმედებას ახდენს პოლიტიკაზე. ამ სამედიცინო მოდელის შედეგად მოსახლეობის ამ ნაწილის უფლებების შელახვას იწვევს. აუტიზმის და დაუნის სინდრომის შემთხვევაში სახელმწიფო შშმ პირის სტატუსს ანიჭებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდება, რომ ამ პიროვნებას არ შეუძლია იმავე ფუნქციების შესრულება, რაც მის თანატოლებს.

[4] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი), მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა http://census.ge/en/results/census1/demo

პატარა ბავშვებში ამის დემონსტრირება რთულია და ხშირად დიდი დრო გადის, სანამ ისინი საჭირო დახმარებას მიიღებენ. საქართველოს კანონი სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ შეიცავს დებულებას სპეციალური ასპექტების შესახებ შშმ პირის სტატუსის მინიჭებისას, მაგრამ ფაქტიური პროცედურები არ ასახავს ამ დებულებას. მოქალაქეებს სამედიცინო გამოკვლევა უტარდებათ შესაბამისი დასკვნის შედგენის მიზნით, რომლის საფუძველზედაც ისინი უფლებამოსილი იქნებიან მიიღონ სახელმწიფო დახმარება. იგულისხმება, რომ ყველა შშმ პირმა უნდა ჩაიტაროს სამედიცინო გამოკვლევა. საქართველოში წყალმომარაგების და წყალარინების ინფრასტრუქტურა არ არის შშ პირების მოთხოვნებზე ადაპტირებული, თუმცა საირიგაციო პროექტებისთვის ეს საკითხი არ არის ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც სასმელი წყლის და წყალარინების ინფრასტრუქტურისთვის.

5. მონაწილე მხარეთა ჩართულობის გეგმა

მონაწილე მხარეთა ჩართულობის გეგმაში გათვალისწინებულია დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების ჩატარება პროექტის დამტკიცებამდე, პროექტის დაწყების შემდეგ და შემდგომში საჭიროების მიხედვით.

პროექტის მონაწილე მხარეების მოსაზრებების, იდეების და პრეტენზიების განსახილველად საჭიროა კონსულტაციების და მონაწილეთა ჩართულობის აქტივობების განხორციელება. პროექტში გამოყენებული იქნება სხვადასხვა მეთოდები კონკრეტულ მონაწილე მხარეებთან ურთიერთობის დასამყარებლად, ინფორმაციის შესაგროვებლად და კონსულტაციების ჩასატარებლად. ქვემოთ ჩამოთვლილია პროექტის ტექნიკური ერთეული მიერ გამოყენებული მეთოდები მონაწილე მხარეების ჩართულობის უზრუნველსაყოფად:

ცხრილი 2: ჩართულობის უზრუნველყოფის მეთოდები პროექტის ციკლის განმავლობაში

Project Stakeholders	ჩართულობის უზრუნველყოფის მეთოდები	მეთოდის სათანადო გამოყენება
კომპონენტი 1:	*მდგრადი სარწყავი სოფლის მეურნეობა*	
ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები	სატელეფონო ზარები/მოკლე ტექსტური შეტყობინებები; საკონსულტაციო შეხვედრები, ფოკუს-ჯგუფების ინტერვიუები; ფერმერთა საინიციატივო ჯგუფების წევრთა პერიოდული გამოკითხვა.	პროექტის შესახებ ზოგადი ინფორმაციის გარცებე, სადაც 1-ეკომპონენტს საგანგებო ყურადღება დაეთმობა. პროექტის დოკუმენტაციის, მაგალითად გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის

Project Stakeholders	ჩართულობის უზრუნველყოფის მეთოდები	მეთოდის სათანადო გამოყენება
კომპონენტი 1:	*მდგრადი სარწყავი სოფლის მეურნეობა*	
		ჩარჩო დოკუმენტის (ESMF) და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის (RPF) წინასწარი ვარიანტების პრეზენტაცია. სოციალურ-ეკონომიკური შეფასება; RPF სკრინინგის პროცესი; სამიზნე აუდიტორიასთან შეხვედრები პირადად ან ონლაინ; შეხვედრის ოქმის შედგენა და ფოტოსურათების გადაღება; დამსწრეებისთვის კომენტირების და უკუკავშირის საშუალების მიცემა; შეხვედრაზე პრეზენტაციის მოწყობა და/ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენება; ფერმერთა საინიციატივო ჯგუფის წევრების გამოკითხვის შედეგების შეგროვება, რომლის საფუძველზედაც განისაზღვრება პროექტის შედეგების ჩარჩოში მოქალაქეთა ჩართულობის ინდიკატორი.
სხვა დაინტერესებული	სატელეფონო ზარები/მოკლე ტექსტური შეტყობინებები; საკონსულტაციო შეხვედრები,	პროექტის შესახებ ზოგადი ინფორმაციის მიწოდება სახელმწიფო მოხელეებისთვის, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისთვის, 1-ელი კომპონენტისთვის შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისთვის (მაგ. სოფლის მეურნეობის სამინისტრო, შპს-ს სერვის ცენტრები, საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები, სოფლის განვითარების სააგენტო, სემეკი); სამიზნე აუდიტორიასთან შეხვედრები პირადად ან ონლაინ; შეხვედრის ოქმის შედგენა და ფოტოსურათების გადაღება; დამსწრეებისთვის კომენტირების და უკუკავშირის საშუალების მიცემა; შეხვედრაზე პრეზენტაციის მოწყობა და/ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენება.

მოწყვლადი ჯგუფები	სატელეფონო ზარები/მოკლე ტექსტური შეტყობინებები; საკონსულტაციო შეხვედრები	მოწყვლადი ჯგუფებისთვის პროექტის შესახებ ინფორმაციის თანაბრად მიწოდება მათი სტატუსის გათვალისწინებით; პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტის (ESMF) და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის (RPF) პრეზენტაცია. სამიზნე აუდიტორიასთან შეხვედრები

Project Stakeholders	ჩართულობის უზრუნველყოფის მეთოდები	მეთოდის სათანადო გამოყენება
კომპონენტი 1:	*მდგრადი სარწყავი სოფლის მეურნეობა*	
		პირადად ან ონლაინ; ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული ადგილებში თარგმანის უზრუნველყოფა; შეხვედრის ოქმის შედგენა და ფოტოსურათების გადაღება; დამსწრეებისთვის კომენტირების და უკუკავშირის საშუალების მიცემა; შეხვედრაზე პრეზენტაციის მოწყობა და/ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენება.
კომპონენტი: 2	*მიწის მართვის პოტენციალის გაუმჯობესება*	
სხვა დაინტერესებული მხარეები	შეხვედრების პროექტის განხორციელების შესახებ; სიღრმისეული ინტერვიუები	მე-2 კომპონენტისთვის ინფორმაციის შეგროვება და შეფასება შესაბამისი სახელმწიფო უწყებებიდან, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებიდან, სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებიდან, მე-2 კომპონენტის შესაბამისი უწყებებიდან (სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მიწის მართვის სააგენტო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, სოფლის განვითარების სააგენტო).
პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მხარეები	პროექტის განმახორციელებელი ერთეულის ვებგვერდზე ინფორმაციის განახლება	პროგრამის შესახებ ინფორმაციის და სიახლეების პრეზენტაცია; პროექტის შესაბამისი დოკუმენტაციის, ბროშურების, წლიური ანგარიშების და ზემოქმედების შეფასების დოკუმენტების გასაჯაროება; სოციალური მედიაში რეკლამის, ელექტრონული საინფორმაციო კამპანიის და ვიდეო მასალების გაზიარება.
პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ყველა მხარე	ნაბეჭდი მასალა	პროექტის ბროშურების/ქვეპროექტების სარეკლამო ფურცლები და სხვა ნაბეჭდი მასალები პროექტთან დაკავშირებული სიახლეებით

უნდა მომზადდეს ყველა საჯარო კონსულტაციის და მათი შედეგების ოქმები და მოკლე აღწერა (ერთგვერდიანი ინფორმაცია). მათი ნიმუშები მონაწილე მხარეთა ჩართულობის მე-2 დანართშია მოცემული. მონაწილე მხარეებთან თანამშრომლობა

პროექტის მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში გაგრძელდება და დოკუმენტურად აღინუსხება გარემოსდაცვითი და სოციალური პრობლემები და განიხილება კონსულტაციების, საველე ვიზიტების, არაოფიციალური დისკუსიების დროს ან ოფოციალური წერილების ფორმით მიღებული საჩივრები. დოკუმენტები პროექტის განმახორციელებელი ერთეულის ოფისებში უნდა ინახებოდეს. პროექტი უზრუნველყოფს მონაწილე მხარეების ჩართულობის სხვადასხვა აქტივობების, მათ შორის ინფორმაციის გასაჯაროების, ინკლუზიურობას და კულტურულ სენსიტიურობას.

გატარდება შესაბამისი ღონისძიებები, რომ ზემოთ მითითებულმა მოწყვლადმა ჯგუფებმა მონაწილეობა მიიღონ პროექტის საქმიანობაში და მიიღონ სარგებელი პროექტისგან. სხვა ზომებთან ერთად, ამ მიზნისთვის გამოყენებული იქნება ოჯახებთან დაკავშირება ტელეფონის, მოკლე ტექსტური შეტყობინებების, სოციალური მედიის საშუალებით (სოციალური დისტანცირების მოთხოვნების შესაბამისად). პირადი შეხვედრები, კონსულტაციები, ფოკუს-ჯგუფებთან დისკუსიები და იძულებით გადაადგილებულ პირებთან სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდება მაქსიმალურად მოსახერხებელ ლოკაციებზე, რომლებიც იოლი მისადგომია ადამიანებისთვის და ტრანსპორტისთვის და ისეთ შენობებში, რომლებიც ადაპტირებულია შშმ პირების საჭიროებებისთვის. თუ შეხვედრები ძნელად მისადგომ ადგილებში (მაგ. მაღალმთიან ადგილებში) უნდა ჩატარდეს საჭირო იქნება ადგილობრივიო მმართველობის მხარდაჭერა ტრანსპორტიორების ორგანიზებისთვის ან შეხვედრები ონლაინ უნდა ჩატარდეს. პროექტის განმახორციელებელი გუნდი და შპს უზრუნველყოფენ საკონსულტაციო შეხვედრების საორგანიზაციო და ლოგისტიკურ მხარდაჭერას, გენდერულ და ასაკობრივ ბალანსს შეხვედრებზე. თუ პოტენციურად მოწყვლადი ჯგუფების წევრები არ არიან საკმარისად წარმოდგენილი ამ ღონისძიებებზე, საჭიროა სპეციალური ზომების მიღება ქალებთან, საწარმოების ახალგაზრდა ხელმძღვანელებთან ან მეურნეობების მესაკუთრე მოწყვლადი ჯგუფების წევრებთან დასაკავშირებლად. ამ მიზნით პროექტის განმახორციელებელმა ერთეულმა და კონტრაქტორმა ინფორმაციის გავრცელების გეგმაში კონკრეტული რეგიონს სპეციფიკიდან გამომდინარე უნდა გაითვალისწინონ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, მაგ. ქალების, შშმ პირების, ეთნიკური უმცირესობების ასოციაციები და გაერთიანებები.

ყველა მონაწილე მხარის ჩართულობის უზრუნველყოფის და შესაბამისი მექანიზმების გამოყენების მიზნით გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშავა ქვემოთ წარმოდგენილი მატრიცა, სადაც გათვალისწინებულია ყველა პროგრამა, სამიზნე მონაწილე, მონაწილეთა ჩართულობის სფერო და მეთოდები და კომუნიკაციის პერიოდი.

ცხრილი 3: მონაწილე მხარეების ჩართულობის გეგმა

სამიზნე მონაწილე მხარეები	ჩართულობის სფერო	მეთოდი	სიხშირე	პროექტის შესაბამისი ქვეკომპონენტები	პროექტის აქტივობები
საშუალო და მცირე აგროსაწარმოები და მეთუნეობები *სასოფლო-სამეურნეო ღირებულების ჯაჭვების სხვა მონაწილეები* *პოტენციურად ჩასართავი პირები ან კომპანიები* *თემები, რომლებიც პროექტის პოტენციური ზემოქმედების ქვეშ შეიძლება მოექცეს* *ფერმერთა საინიციატივო ჯგუფები*	პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტის (ESMF) და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის (RPF) წარდგენა პროექტის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას - 1-ელი კომპონენტი; ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობა პროგრამის შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად; პროექტის განხორციელების შესახებ უკუკავშირის მიღება; ინფორმაციის შეგროვება	ინფორმაციის მიწოდება საჯარო კონსულტაციების საშუალებით საკონსულტაციო შეხვედრების დროს უკუკავშირის მიღება და მასზე რეაგირება ინფორმაციის შეგროვება ფოკუს ჯგუფების დისკუსიების საშუალებით მონაწილე მხარეთა ჩართულობის შეხვედრები მოკლე	პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტის (ESMF) და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის (RPF) მომზადების ეტაზე რეგულარულად, კონკრეტული ქვეკომპონენტის სპეციფიკის შესაბამისად RPF-ის სკრინინგის ეტაპი პროექტის მომზადების ეტაპი	**1-ელი კომპონენტი** *1.1.* ვეკომპონენტი საირიგაციო და სადრენაჟო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია *1.2.* ვეკომპონენტი სარწყავი სოფლის მეურნეობის და ღირებულების ჯაჭვის განვითარება *1.3. ვეკომპონენტი* საირიგაციო მომსახურების მიწოდების გაუმჯობესება	*აქტივობა 1:* მეურნეობების და აგროსაწარმოების მოდერნიზაცია და კომერციალიზაცია პროექტის ფართობებზე *აქტივობა 2:* საირიგაციო მომსახურების ტარიფის ეტაპობრივი ზრდა და ფართო მასშტაბით დანერგვა *აქტივობა 3:* ფერმერების მხარდაჭერა წყლის და კლიმატის პრობლემებით გამოწვეული სტრესის შესამცირებლად სოფლის მეურნეობაში ყველა აქტივობა 1.1. ქვეკომპონენტის ფარგლებში

	სოციალურ-ეკონომიკური შეფასების შესახებ 1.1 ქვეკომპონენტის	მიმოხილვა		*1.1. ვეკომპონენტი* საირიგაციო და	

სამიზნე მონაწილე მხარეები	ჩართულობის სფერო	მეთოდი	სიხშირე	პროექტის შესაბამისი ქვეკომპონენტები	პროექტის აქტივობები
	ფარგლებში საჩივრების განხილვის მექანიზმის ცენტრალური პუნქტის და/ან მონაწილე მხარის წარმომადგენლის განსაზღვრა ფერმერთა საინიციატივო ჯგუფების შეხვედრების ეფექტურობის გაზომვა იმის საფუძველზე, თუ რამდენად იქნა გათვალისწინებული მათი უკუკავშირი საირიგაციო მომსახურების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას		ყოველწლიური	სადრენაჟო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია	
სოფლის განვითარების სააგენტო (RDA); *საინფორმაციო-საკონსულტა*	პროექტის დიზაინის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, მომსახურების დიგიტალიზაცია, მონიტორინგის და შეფასების პოტენციალი, სასწავლო ტურები, ფერმების	ინფორმაციის მიწოდება მონაწილე მხარეების ჩართულობის შეხვედრების საშუალებით	რეგულარულად ქვეკომპონენტის სპეციფიკის შესაბამისად პროექტის მომზადების,	**1-ელი კომპონენტი.** *ქვეკომპონენტი 1.2.* სარწყავი სოფლის მეურნეობის და ღირებულების ჯაჭვის განვითარება	*აქტივობა 2:* სოფლის განვითარების სააგენტოს კომპეტენციის გაძლიერება ევროკავშირში შესვლის და სასოფლო- სამეურნეო მომსახურების გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით *აქტივობა 1:* კომპლექსური საინვესტიციო პროგრამა შპს-ს

ციო	ციფრული საკონსულტაციო				

სამიზნე მონაწილე მხარეები	ჩართულობის სფერო	მეთოდი	სიხშირე	პროექტის შესაბამისი ქვეკომპონენტები	პროექტის აქტივობები
ცენტრები ; *შპს „საქართველოს მელიორაცია“* *გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სა*	მომსახურების დანერგვა; პროექტის და მისი ქვეკომპონენტების წინასწარი ვარიანტების განხილვა; უკუკავშირის პროექტის ქვეკომპონენტების და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ	ეს პროცესი ხორციელდება სადისკუსიო პლატფორმების „მრგვალი მაგიდის“ ფორმატით შეხვედრების, პირადი შეხვედრების, და სხვა საშუალებით პროექტის საინფორმაციო შეხვედრები	განხორციელების და მონიტორინგის ეტაპებზე	*ქვეკომპონენტი 1.3:* საირიგაციო მომსახურების გაუმჯობესება	ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად *აქტივობა 4:* შპს-ს სერვის ცენტრების მხარდაჭერა მათი ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად და/ან წმო-ების დაფუძნებაში დასახმარებლად GRAIL პროექტის სისტემებზე *აქტივობა 5:* ახალი ჰიდრო-აგრო ინფორმატიკის პროგრამის (HAIP) შექმნა გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროში

სამიზნე მონაწილე მხარეები	ჩართულობის სფერო	მეთოდი	სიხშირე	პროექტის შესაბამისი ქვეკომპონენტები	პროექტის აქტივობები
მიწის მართვის სააგენტო გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში *ციფრული მმართველობის სააგენტო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მმართველობის სფეროში*	ქვეკომპონენტის საქმიანობის განხილვა დეტალური ანალიზის და უკუკავშირის მიღება პროექტის ქვეკომპონენტების და დაგეგმილი აქტივობების შესახებ;	პროექტის მომზადების შეხვედრები სიღრმისეული ინტერვიუები მონაწილე მხარეების ჩართულობის შეხვედრები	პროექტის დაწყების თარიღამდე პროექტის მომზადების ეტაპზე რეგულარულად, კონკრეტული ქვეკომპონენტის სპეციფიკის შესაბამისად	**მე- 2 კომპონენტი** მიწის მართვის პოტენციალის გაუმჯობესება *ქვეკომპონენტი 2.1:* სასოფლო-სამეურნეო მიწის მართვის და მონიტორინგის გაუმჯობესება *ქვეკომპონენტი 2.2:* მიწის ადმინისტრირების სერვისის გაუმჯობესება და ციფრული მმართველობის ინფრასტრუქტურის მოწყობა	*2.1 ქვეკომპონენტის აქტივობები* მიწის საინფორმაციო მრავალფუნქციური სისტემის შექმნა მეურნეობების რეესტრის გაუმჯობესება საქართველოში მიწის კონსოლიდაციის ეროვნული სტრატეგიის საპილოტე ფორმატით განხორციელება სასოფლო-სამეურნეო მიწების მასობრივი შეფასების მეთოდოლოგიის და სისტემის დიზაინი და საპილოტე ფორმატით განხორციელება *2.2 ქვეკომპონენტის აქტივობები* ქონების რეგისტრაციის ერთიანი სისტემის და ელ-სერვისების გაუმჯობესება (II ფაზა); ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის (NSDI) ეფექტური შემუშავება და გამოყენება

6. მონაწილე მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფის რესურსები

GRAIL პროექტში მონაწილე მხარეების ჩართულობის დაგეგმილი აქტივობები.

დაგეგმილი აქტივობები	სავარაუდო ბიუჯეტი (ლარი)
პროექტის ნაბეჭდი მასალები	31,000
პროექტის განმახორციელებელი ერთეულის ვებ-გვერდზე ინფორმაციის განახლება	10, 000
ფოკუს ჯგუფების ინტერვიუების ორგანიზება პოტენციურ მონაწილე მხარეებთან და ბენეფიციარებთან	15,000
სიღრმისეული ინტერვიუების ორგანიზება შესაბამის მონაწილე მხარეებთან	15,000
სადისკუსიო პლატფორმების და შეხვედრების ორგანიზება პროექტის ქვეკომპონენტების აქტივობების ფარგლებში	20,000

7. საჩივრების განხილვის მექანიზმი (GRM)

7.1. საჩივრების განხილვის მექანიზმის პროცედურები

საჩივრების განხილვის მექანიზმის (GRM) ძირითადი ამოცანაა საჩივრების და პრეტენზიების დროულად, ეფექტურად და ეფექტიანად გადაწყვეტა ყველა მხარის დასაკმაყოფილებლად. ეს მექანიზმი უზრუნველყოფს გამჭვირვალე და სანდო პროცესს სამართლიანი, ეფექტური და გრძელვადიანი შედეგების მისაღწევად. ის ასევე ემსახურება ნდობის და თანამშრომლობის შექმნას, რაც ადგილობრივ თემთან კონსულტაციების განუყოფელი ნაწილია.

საჩივრების განხილვის მექანიზმი (GRM) ეფექტურად, დროულად და ეკონომიურად წყვეტს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი თემების ან გარე მონაწილ პირების მიერ წარდგენილ საჩივრებს, რომლებიც გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ან კონტრაქტორების/ქვეკონტრაქტორების მოქმედებების გამო 1.1 ქვეკომპონენტის ფარგლებში. ცალკე მექანიზმი შეიქმნება მუშახელის საჩივრების განსახილველად (ეს პროცესი აღწერილია მუშახელის მართვის გეგმაში). GRM-ის მართვაზე სამინისტრო იქნება პასუხისმგებელი, მაგრამ საჩივრების დიდი ნაწილი სავარაუდოდ კონტრაქტორის მუშაობასთან იქნება დაკავშირებული და შესაბამისად კონტრაქტორმა უნდა გადაწყვიტოს. სამინისტრო განხორციელების კონსულტანტთან

ერთად მართავს GRM-ის პროცესს, დაადგენს პასუხისმგებელია თუ არა კონტრაქტორი და განსაზღვრავს მოქმედების კურსს საჩივრის გადასაწყვეტად. განხორციელების კონსულტანტი დაეხმარება სამინისტროს კონტრაქტორის მიერ საჩივრის გადაწყვეტის პროცესის მონიტორინგში.

პროექტის საჩივრების განხილვის მექანიზმი (GRM) ასევე განიხილავს მიწის და სხვა აქტივების შესყიდვას (მაგ. კომპენსაციის თანხა, დარჩენილი მიწის ნაკვეთების შესაბამისობა, მისასვლელი გზების დაკარგვა და სხვა), რეაბილიტაციის სამუშაოებით გამოწვეული დანაკარგები და ზარალი, ასევე პირდაპირი და არაპირდაპირი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედება. აქედან გამომდინარე, GRM შექმნილი უნდა იყოს იმ დროისთვის, როდესაც გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო დაიწყებს განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP), გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასების (ESIA) მომზადებას და ეს მექანიზმი უნდა ფუნქციონირებდეს ყველა სამშენებლო სამუშაოს დასრულებამდე და მათი დასრულების შემდეგაც დეფექტებზე პასუხისმგებლობის პერიოდის დასრულებამდე. ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები და სხვა პოტენციური მომჩივანები სრულად უნდა იყვნენ ინფორმირებული GRM-ის, მისი ფუნქციების, პროცედურების, ვადების და საკონტაქტო პირების შესახებ საკონსულტაციო შეხვედრების და მონაწილე მხარეთა ჩართულობის სხვა ღონისძიებების დროს. საჩივრებთან დაკავშირებული კორესპონდენცია დოკუმენტურად უნდა იყოს აღნუსხული და საჩივრების გადაწყვეტის პროცესზე რეგულარული ზედამხედველობა განხორციელდება. ამ გეგმის მე-3 დანართში მოცემულია საჩივრების ჟურნალის შაბლონი.

კერძოდ, საჩივრების განხილვის მექანიზმი (GRM):

- ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისთვის უზრუნველყოფს საჩივრების წარდგენის და დავების გადაწყვეტის საშუალებას პროექტის განხორციელებისას წამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებით;
- უზრუნველყოფს შესაბამისი და ორივე მხარისთვის მისაღები ზომების განსაზღვრას და განხორციელებას საჩივრების დასაკმაყოფილებლად;
- ხელს უწყობს საჩივრების და პრეტენზიების განხილვის ხელმისაწვდომობას და გამჭვირვალობას;
- ზოგავს დროს (ხელს უწყოს სასამართლო პროცესის თავიდან აცილებას, როგორც მინიმუმ საწყის ეტაპზე).

პრეტენზია და საჩივარი განისაზღვრება შემდეგნაირად:

- პრეტენზია რომელიმე პირზე ან ჯგუფზე პროექტის საქმიანობის უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებით გამოთქმული უკმაყოფილება. ამ ინდივიდის ან ჯგუფის ინტერესების დამცველმა ან ოპერატორმა (კონტრაქტორმა) უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს პრეტენზია (მაგალითად, მტვრით, ხმაურით ან ვიბრაციით გამოწვეული პრობლემები). პრეტენზია ჩვეულებრივ ნაკლებ სერიოზულია, ვიდრე საჩივარი.

- საჩივარი: იმ პირის ან ჯგუფის მიერ წარმოდგენილი საჩივარი, რომელთა საარსებო წყარო, ჯანმრთელობაზე, უსაფრთხოებაზე, კულტურულ ნორმებსა და მემკვიდრეობაზე უარყოფით ზემოქმედებას ახდენს პროექტის საქმიანობა. თუ ეს პრობლემები სათანადოდ არ მოგვარდება, მათ შეიძლება რისკის ქვეშ დააყენოს ზემოაღნიშნული პირები და ჯგუფები.

1.1 ქვეკომპონენტის ფარგლებში გამოთქმული ტიპიური საჩივრები შეიძლება იყოს:
- მიწის შესყიდვა და განსახლება;
- სამშენებლო სამუშაოებით გამოწვეული ზარალი;
- გარემოზე ზემოქმედება;
- პირდაპირი და/ან არაპირდაპირი სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედება.

სამინისტროს საჩივრების განხილვის მექანიზმი საქართველოს ადმინისტრაციულ კოდექსს ეფუძნება. პროექტის ფარგლებში სამინისტრო GRM პროცედურებს იმგვარად შეცვლის, რომ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირს ჰქონდეს საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა. GRM ყველა ტიპის საჩივარს განიხილავს. ანონიმური საჩივრებიც მიღებული, აღნუსხული და განხილული უნდა იქნეს GRM-ის ფარგლებში,

GRM შემდეგ ეტაპებს მოიცავს:

<u>ეტაპი 1:</u> საჩივრების წარდგენა ხდება ან წერილობით ან სატელეფონო ცხელი ხაზის/მობილურის, ელ-ფოსტის, სოციალური მედიის (მაგ. ფეისბუკი), ვებგვერდის, საჩივრების ჟურნალის საშუალებით და წარედგინება ან კონტრაქტორ ორგანიზაციას ან პირდაპირ სამინისტროს. GRM-ის საშუალებით წარმოდგენილი და განხილული იქნება ასევე ანონიმური საჩივრებიც.

<u>ეტაპი 2:</u> საჩივრების აღნუსხვა, კლასიფიცირება მათი ტიპის მიხედვით ეფექტური რეაგირების მიზნით და საწყისი პასუხის მაქსიმალურად ოპერატიულად გაცემა. საჩივრის ტიპი მის თავისებურებებზე (მაგ. მოწყლავდი ჯგუფები, შშმ პირები, ენობრივი ბარიერის მქონე პირები და სხვა) და ხასიათზეა დამოკიდებული.

<u>Steეტაპი 3:</u> საჩივრების განხილვა შემდეგ ხუთ ეტაპად მოხდება:

- პროექტის განმახორციელებელი ერთეულის განსახლების სამოქმედო გეგმის (RAP) გუნდს ექნევა საჩივრების აღნუსხვის სისტემა და დაარეგისტრირებს საჩივრებს;
- საწყის ეტაპზე პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირს შეუძლია წარადგინოს საჩივარი და პროექტის სხვადასხვა სტრუქტურები (მაგ. პროექტირებაზე, საკადასტრო აგეგმვაზე, შეფასებაზე პასუხისმგებელი ერთეულები) ან ადგილობრივი მმართებლობის ორგანოები შეეცდებიან საკითხის არაოფიციალურად გადაწყვეტას საჩივრის წარდგენიდან 10 დღის განმავლობაში. ასეთი საჩივრებიც უნდა აღინუსხოს საჩივრების ჟურნალში;

- თუ საკითხი არ გადაწყდა, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირს შეუძლია საჩივარი პროექტის განმახორციელებელ ერთეულს წარუდგინოს, რომელსაც 15 დღიანი ვადა ექნება გადაწყვეტილების მისაღებად;
- თუ საჩივარი მაინც არ იქნა გადაწყვეტილი, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირის საჩივარი საჩივრების გადაწყვეტის კომისიას გადაეცემა (ქვემოთ იხ. დეტალური ინფორმაცია ამ კომისიის შესახებ). კომისიას 15 დღიანი ვადა ექნება გადაწყვეტილების მისაღებად;
- პროცესის ნებისმიერ ეტაპზე პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირს შეუძლია საჩივარი საქართველოს სასამართლოში შეიტანოს.

პროექტის განმახორციელებელმა ერთეულმა უნდა ჩამოაყალიბოს მიწის შესყიდვასთან დაკავშირებული საჩივრების გადაწყვეტის კომისია, რომელშიც შევლენ პროექტის განმახორციელებელი ერთეულის და გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები, მიწის შეფასების/შესყიდვის კონსულტანტები და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები. საჭიროებისამებრ კომისია ჩაატარებს კონსულტაციებს სოფლის/თემის ხელმძღვანელებთან და მმართველობის ორგანოებთან საჩივრის გადაწყვეტის მიზნით. პროექტის განმახორციელებელი ერთეულიდან კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ იურისტები, ინჟინრები, სოციალური გარანტიების კონსულტანტი, რეგიონული კოორდინატორი, პროექტის მენეჯერი და პროექტის დირექტორის მოადგილე. საჭიროებისამებრ კომისია ჩაატარებს კონსულტაციებს თემის ხელმძღვანელებთან და წარმომადგენლებთან საბოლოო ზომების შესამუშავებლად. კომისიის წევრები განიხილავენ და იმსჯელებენ მიღებილი საჩივრების შესახებ, მიიღებენ გადაწყვეტილებებს მათ თაობაზე, განახორციელებენ თავის გადაწყვეტილებას და აცნობებენ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირს შედეგების და საჩივრის გადაწყვეტის შესახებ.

7.2. საჩივრების გადაწყვეტა

საჩივარი გადაწყვეტილად ანუ „დახურულად“ ითვლება, თუ მიღებული გადაწყვეტილება ორივე მხარეს აკმაყოფილებს და წარმატებით განხორციელდა გამოსწორების ღონისძიებები. როდესაც პროექტი და მომჩივანი შეთანხმდებიან გადაწყვეტილების შესახებ, მისი განხორციელებისთვის საჭირო დრო ამ გადაწყვეტილების ხასიათზეა დამოკიდებული. გადაწყვეტილების განხორციელება საჩივრის რეგისტრაციიდან ერთ თვეში უნდა მოხდეს და საჭიროა მასზე ზედამხედველობა დასრულებამდე. საჩივრის დასრულების ფორმას ორივე მხარემ (სამინისტრო-პროექტის განმახორციელებელი ერთეული და მომჩივანი) უნდა მოაწერონ ხელი და დაადასტურონ, რომ საჩივარი დასრულებულია. ამის შემდეგ საჩივარი პროექტის საჩივრების მონაცემთა ბაზაში შეინახება. აუცილებელია საჩივრების დეტალური ჟურნალის წარმოება და მსოფლიო ბანკის ჯგუფისთვის წარდგენა. გარკვეულ შემთხვევებში პროექტმა შეიძლება „დახუროს“ საჩივარი მომჩივანის დაკმაყოფილების გარეშე. თუ მომჩივანი ვერ ასაბუთებს თავის საჩივარს ან მისი პრეტენზიები აშკარად ყალბი ან თაღლითურია.

ამგვარ შემთხვევებში პროექტმა უნდა გამოიძიოს საჩივარი და მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც დოკუმენტურად გაფორმდება და მომჩივანს ეცნობება ამის შესახებ. პროექტის განმახორციელებელმა ერთეული არ უგულებელჰყოფს საჩივარს ზერელე განხილვის საფუძველზე და საჩივრის დახურვამდე გაუგზავნის მას შეტყობინებას რათა მისცეს დამატებითი ინფორმაციის და მტკიცებულებების წარდგენის საშუალება.

7.3. საჩივრების რეგისტრაცია და დოკუმენტაცია

გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო განსაზღვრავს GRM-ის პასუხისმგებელ პირს (focal point) საჩივრების მონაცემთა ბაზის მართვის და მიღებული საჩივრების რეგისტრაციის მიზნით. მონაცემთა ბაზაში შეტანილი იქნება მომჩივანი პირების ან ორგანიზაციის სახელები, საჩივრების თარიღები და შინაარსი, შემდგომი ღონისძიებები, კონტრაქტორის ან სხვა მხარის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და გამოსწორების ზომები, საბოლოო შედეგები, გადაწყვეტილების მომჩივანისთვის შეტყობინების ფორმა და დრო.

ზედამხედველი და სამშენებლო კომპანია თავის ყოველთვიურ ანგარიშებში შეიტანენ ინფორმაციას საჩივრების მართვის შესახებ. საჩივრების მონიტორინგის და ანგარიშგება უნდა აისახოს სამინისტროს ექვსთვიან და ყოველწლიურ საჯარო ანგარიშებში (მე-4 დანართში მოცემულია საჩივრების ანგარიშის ფორმა).

7.4 GRM ცენტრალური პუნქტის საკონტაქტო ინფორმაცია

საჩივრების მართვის და ადგილობრივ მონაწილე მხარეთა ჩართულობის საკონტაქტო პირი იქნება პროექტის განხორციელების ერთეულის საჩივრების განხილვის მექანიზმის (GRM) პასუხისმგებელი პირი:

აღწერა	საკონტაქტო ინფორმაცია
პროექტის განხორციელების ერთეული	გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
ვის:	GRM – საკონტაქტო პირი – სოფი ბერიშვილი
მისამართი:	მარშალ გელოვანის გამზირი #6, თბილისი, 0159, საქართველო
ელ-ფოსტა:	Sophiko1@hotmail.com
ვებგვერდი:	https://mepa.gov.ge/
ტელეფონი:	599270049

პროექტის და მონაწილე მხარეების ჩართულობის პროგრამის შესახებ ინფორმაცია პროექტის განმახორციელებელი ერთეულის ვებგვერდზე იქნება ხელმისაწვდომი და გამოიკვრება საინფორმაციო დაფებზე პროექტის ფართობის სოფლებში. ამ ინფორმაციის მიღება შეიძლება ასევე GRM-ის ცენტრალურ პუნქტში.

პროექტის განმახორციელებელი ერთეულის ვებგვერდზე და შესაბამისი მერიებში შეიძლება ასევე შეფასების და მონიტორინგის ექვსთვიანი ანგარიშების ნახვა, რომლებშიც მონაწილე მხარეების ჩართულობის გეგმის განხორციელებაა აღწერილი.

8. მონაწილე მხარეების ჩართულობის გეგმის მონიტორინგი და ანგარიშგება

პროექტის განმახორციელებელი ერთეულის გუნდი მოამზადებს პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების მონიტორინგის ანგარიშებს სამინისტროს ხელმძღვანელობისთვის და მსოფლიო ბანკისთვის წარსადგენად. ამ ანგარიშებში ცალკე თავი დაეთმობა მონაწილე მხარეების ჩართულობას და საჩივრების მართვას. მე-4 ცხრილში მოცემულია მონაწილე მხარეთა ჩართულობის ეფექტურობის საზომი კომპლექსური ინდიკატორები.

ცხრილი 4: მონაწილე მხარეთა ჩართულობის გეგმის ინდიკატორები მიმდინარე ანგარიშებში შესატანად

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირთა ჩართულობა
პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებთან ოფიციალური და არაოფიციალური შეხვედრების რაოდენობა და ადგილი
საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების ან შეხვედრების რაოდენობა და ადგილი
ზემოაღნიშნულ შეხვედრებზე დამსწრე მამაკაცების და ქალების რაოდენობა
მუნიციპალიტეტებთან, თემებთან და სხვა მონაწილე მხარეებთან ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა, მდებარეობა, დამსწრეთა რაოდენობა და დოკუმენტაცია
თითოეულ შეხვედრაზე მიღებული კომენტარების და შეთანხმებული ზომების რაოდენობა და შინაარსი, ამ ღონისძიებების სტატუსი, კომენტარების გათვალისწინება პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმაში (ESMP).
ოფიციალური შეხვედრების ოქმები და არაოფიციალური შეხვედრების რეზიუმე ანგარიშის დანართში იქნება შეტანილი. მათში შეჯამებული იქნება დამსწრე პირების მოსაზრებები და ცალ-ცალკე იქნება წარმოდგენილი ქალების და მამაკაცების მიერ გაკეთებული კომენტარები.
სხვა მონაწილე მხარეების ჩართულობა
სხვა მონაწილე მხარეების ჩართულობის ღონისძიებების რაოდენობა და ხასიათი. მონაცემები დეზაგრეგირებული უნდა იყოს მონაწილე მხარეების კატეგორიების (სახელმწიფო უწყებები მუნიციპალიტეტები, არასამთავრობო ორგანიზაციები) მიხედვით.
არასახელმწიფო ორგანიზაციების და სხვა მონაწილე მხარეების მიერ წამოჭრილი საკითხები, შეთანხმებული აქტივობები და მათი მიმდინარეობის სტატუსი.
შეხვედრების ოქმები ექვსთვიანი ანგარიშების დანართების დანართებში იქნება წარმოდგენილი
პროექტის საჯარო დოკუმენტების რაოდენობა და ხასიათი
პროექტის ვებგვერდის განახლებების რაოდენობა და ხასიათი
ვებგვერდზე მიღებული კომენტარების რაოდენობა და კატეგორიები
საჩივრების განხილვის მექანიზმი

	მიღებული საჩივრების რაოდენობა, ჯამური, ლოკალური, პროექტის განმახორციელებელი ერთეულის მიერ მიღებული. მონაცემები დეზაგრეგირებული უნდა იყოს საჩივრების ხასიათის, გატარებული ღონისძიებების და სხვა ასპექტების მიხედვით.
	პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებისგან და სხვა მონაწილე მხარეებისგან მიღებული საჩივრების რაოდენობა.
	i) გადაუწყვეტელი; ii) 30 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში გადაუწყვეტელი; iii) გადაწყვეტილი; iv) დახურული საჩივრების რაოდენობა და v) იმ საჩივრების რაოდენობა, რომლებიც მომჩივანის სასარგებლოდ გადაწყდა ანგარიშის პერიოდში. ეს მონაცემები დეზაგრეგირებული უნდა იყოს საჩივრების კატეგორიების და შემდგომი ზომების შესაბამისად.
მუშახელის საჩივრები	
	მუშების მიერ წარდგენილი საჩივრების რაოდენობა, რომელიც დეზაგრეგირებული უნდა იყოს მუშების სქესის და სამუშაო უბნების მიხედვით.
	მუშების i) გადაუწყვეტელი; ii) 30 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში გადაუწყვეტელი; iii) გადაწყვეტილი; iv) დახურული საჩივრების რაოდენობა და v) იმ საჩივრების რაოდენობა, რომლებიც მუშების სასარგებლოდ გადაწყდა ანგარიშის პერიოდში. ეს მონაცემები დეზაგრეგირებული უნდა იყოს საჩივრების კატეგორიების, მუშების სქესის და ასაკის და სამუშაო უბნების მიხედვით.
	მომჩივანთა პროფილი (სქესი, ასაკი, სამუშაო უბანი), საჩივრების კატეგორიების მიხედვით.

რეაბილიტაციის ეტაპზე პროექტის განმახორციელებელი ერთეულის და ზედამხედველობის და მონიტორინგის კონსულტანტების გარემოსდაცვითი და სოციალური აქტივობების შესახებ ანგარიშგება განხორციელდება გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების მართვის გეგმის (ESMP) მოთხოვნების შესაბამისად.

პროექტის შემუშავების და რეაბილიტაციის ეტაპებზე პროექტის განმახორციელებელი ერთეულის გუნდი მოკლე ყოველთვიურ ანგარიშებს მოამზადებს გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შესახებ ერთეულს ხელმძღვანელობისთვის წარსადგენად. ამანგარიშებში შეტანილი უნდა იყოს მონაწილე მხარეთა ჩართულობის განხორციელების სიახლეები და მე-4 ცხრილში მოცემული ინდიკატორები. ყოველთვიური ანგარიშების საფუძველზე მომზადდება კვარტალური და წლიური ანგარიშები, რომლებსაც პროექტის განმახორციელებელი ერთეულის ხელმძღვანელობა განიხილავს. ეს ანგარიშები პროექტის ვებგვერდებზე გამოქვეყნდება და პროექტის მუნიციპალიტეტების მერიებში იქნება ხელმისაწვდომი.

რეაბილიტაციის პერიოდში მომზადდება და მსოფლიო ბანკს წარედგინება შეფასების და მონიტორინგის ექვსთვიანი ანგარიშები, რომლებშიც სპეციალური თავი დაეთმობა მონაწილე მხარეების ჩართულობას. ამ ანგარიშებში შეტანილი უნდა იყოს მონაწილე მხარეთა ჩართულობის განხორციელების სიახლეები და მე-4 ცხრილში მოცემული ინდიკატორები.

9. მონაწილე მხარეების ჩართულობა მონიტორინგის აქტივობებში

პროექტი აძლებს საშუალებას მონაწილე მხარეებს, განსაკუთრებით ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებს, მონიტორინგი გაუწიონ პროექტის გარკვეულ ასპექტებს და განახორციელონ უკუკავშირი. საჩივრების გადაწყვეტის კომისია თითოეულ მუნიციპალიტეტში საშუალებას მისცემს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირებს წარმოადგინონ საჩივრები ან სხვა სახის უკუკავშირი. მოქალაქეების/პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების გამოკითხვა პროექტის შუა პერიოდში და საბოლოო ეტაპებზე, რომლის საშუალებითა ისინი თავის მოსაზრებებს გამოხატავენ პროექტის შესახებ. გარდა ამისა, ადგილობრივ მოსახლეობასთან ხშირი შეხვედრები, პროექტის გუნდთან, განსაკუთრებით GRM ცენტრალურ პუნქტთან, მოსახლეობის ურთიერთქმედება დამატებით შესაძლებლობებს აძლევს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებს და სხვა მონაწილე მხარეებს გამოხატონ თავისი აზრი და მიიღონ მონაწილეობა.

პროექტის განმახორციელებელი ერთეული და მისი ცენტრალური პუნქტი ანგარიშებს წარუდგენენ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებს და სხვა მონაწილე მხარეებს საჯარო შეხვედრებზე პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მუნიციპალიტეტებში და/ან სოფლებში. საჯარო შეხვედრებზე მოხდება შეხვედრების ოქმების გაზიარება. GRM-ის საშუალებით მიღებულ უკუკავშირზე რეაგირება მოხდება წერილობითი და სიტყვიერი ფორმით. სატელეფონო ზარები და მოკლე ტექსტური შეტყობინებები გამოიყენება იმ მონაწილე მხარეებისთვის, რომელთა ტელეფონის ნომერები პროექტისთვის ცნობილია. პროექტის სიახლეები სამინისტროს ვებგვერდზე უნდა გამოქვეყნდეს. საჭიროებისამებრ, სოციალური მედია გამოიყენება სხვადასხვა მონაწილე მხარეებისთვის ინფორმაცის მისაწოდებლად.

10 მონაწილე მხარეებთან გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტის (ESMF) და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის (RPF) თაობაზე საწყისი კონსულტაციების შეჯამება

მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით მიმდინარე მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციის და მიწის პროექტის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, გარემოსდაცვითი, უსაფრთხოებისა და სოციალური საკონსულტაციო ჯგუფმა, საირიგაციო მომსახურებით მოსარგებლე მიწათმფლობელებთან და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან გამართა საკონსულტაციო შეხვედრები.

შეხვედრის მიზანი იყო პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური დოკუმენტაციის გაცნობა დაინტერესებული მხარეებისთვის და უკუკავშირის მიღება. განსახილველი დოკუმენტები იყო: (1) გარემოსდავით და სოციალურ ვალდებულებათა გეგმა, (2) გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტი, (3) დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა, (4) შრომითი ურთიერთობების მართვის პროცედურა, და (5) განსახლების ჩარჩო დოკუმენტი.

დამატებით განხილულ იქნა: გარე და შიდა საჩივრების მექანიზმი, მსოფლიო ბანკის მიერ დამტკიცებული გენდერული ძალადობისა და შევიწროვების შემთხვევებზე რეაგირების პროცედურა, განსახლების ჩარჩო დოკუმენტში ასახული პროცედურები, შრომის უსაფრთხოების ორგანიზება და მართვა, აგრეთვე - პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი საგრანტო სქემა და ამ რესურსზე წვდომის შესაძლებლობა. საინჟინრო ჯგუფმა შეხვედრაზე დამსწრეებს გააცნო და მათთან ერთად განიხილა პროექტის გარკვეული ტექნიკური მახასიათებლები, რაც იმ ეტაპისთვის იყო ცნობილი.

ჯამში, გაიმართა 7 შეხვედრა, რომელის დეტალური ჩანაწერი წარმოდგენილია ქვემოთ.

დაინტერესებულ მხარეებთან საკონსულტაციო შეხვედრების შემაჯამებელი ცხრილი

	შეხვედრის ჩატარების თარიღი	შეხვედრის ჩატარების ადგილი	დამსწრეთა ჯამური რაოდენობა	მათ შორის ქალები	მათ შორის კაცები	ადგილობრივი ხელისუფლება	სხვა საჯარო უწყებების წარმომადგენლები	მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები	ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები	
	8.11.2023	ხობის მუნიციპალიტეტი (ცოტნე დადიანის ქ. №189, ქ. ხობი)	16	6	10	X				
	10.11.2023	გორის მუიციპალიტეტი (ქ. გორი, გრიგოლ ფერაძის N5)	13	1	12	X				
	15.11.2023	ახმეტის მუნიციპალიტეტი (ახმეტა, ჩოლოყა შვილის ქუჩა № 49)	21	6	15	X				
	15.11.2023	თელავის მუნიციპალიტეტი	3	0	3	X				

		(თელავი, ერეკლე II-ს გამზ. #16)								
	17.11.2023	ხაშურის მუნიციპალიტეტი (ქ. ხაშური, ტაბიძის N2)	26	2	24	X				
	1.12.2023	ბოლნისის მუნიციპალიტეტი (ქ. ბოლნისი სულხან-საბა ორბელიანის N106)	26	0	26	X			X	
	15.12.2023	დუშეთის მუნიციპალიტეტი (ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. N27)	15	4	11	X				

დანართები

დანართი 1 საკონსულტაციო შეხვედრების ოქმები

მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით მიმდინარე
მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციის და მიწის პროექტი
საკონსულტაციო შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან
შეხვედრის ოქმი N1

შეხვედრის ადგილი: ხობის მუნიციპალიტეტი (ცოტნე დადიანის ქ. №189 , ქ. ხობი)
შეხვედრის თარიღი: 8 ნოემბერი, 2023 წელი
მონაწილეთა რაოდენობა: 16

შეხვედრა გამართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი, უსაფრთხოებისა და სოციალური საკონსულტაციო ჯგუფმა.
საკონსულტაციო შეხვედრის მიზანი იყო საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციისა და მიწის პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური დოკუმენტაციის გაცნობა დაინტერესებული მხარეებისთვის და უკუკავშირის მიღება. განსახილველი დოკუმენტები იყო: (1) გარემოსდავით და სოციალურ ვალდებულებათა გეგმა, (2) გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტი, (3) დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა, (4) შრომითი ურთიერთობების მართვის პროცედურა, და (5) განსახლების ჩარჩო დოკუმენტი.

შეხვედრას უძღვებოდნენ მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციის და მიწის პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის წარმომადგენლები:

შეხვედრას ესწრებოდნენ:

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურის უფროსი;
მერიის სამსახურის უფროსის თანაშემწე;
და ხობის მუნიციპალიტეტში საირიგაციო მომსახურებით მოსარგებლე მიწათმფლობელები.

განხილული საკითხები:
პროექტით დაინტერესებულ მხარეებს დეტალურად გაეცნოთ პროექტის გარემოს დაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტი. პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპზე, მსოფლიო ბანკისა და საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი სტანდარტები და ნორმები.
დამატებით განხილულ იქნა: გარე და შიდა საჩივრების მექანიზმი, მსოფლიო ბანკის მიერ დამტკიცებული გენდერული ძალადობისა და შევიწროვების შემთხვევებზე რეაგირების პროცედურა, განსახლების ჩაჩო დოკუმენტში ასახული პროცედურები, შრომის უსაფრთხოების ორგანიზება და მართვა, აგრეთვე - პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი საგრანტო სქემა და ამ რესურსზე წვდომის შესაძლებლობა. საინჟინრო ჯგუფმა შეხვედრაზე დამსწრეებს გააცნო და მათთან ერთად განიხილა პროექტის გარკვეული ტექნიკური მახასიათებლები, რაც იმ ეტაპისთვის იყო ცნობილი.
წამოჭრილი კითხვები:

1.პროექტის განხორციელება როდის იგეგმება?

სავარაუდოდ იანვრის თვეში უკვე შერჩეული უნდა იყოს კომპანია, რომელიც განახორციელებეს საპრექტო სამუშაოებს. კომპანიამ კონტრაქტის გაფორმებიდან 18 – 20 თვეში უნდა მოამზადოს დიზაინი. დაახლოებით წელიწადი ან ცოტა მეტი დაჭირდება ყველა პროცედურის გავლას სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე.

2.პროექტით გათვალისწინებულ ყველა სამუშაოს პროექტირება ერთად მოხდება?

საპროექტო სამუშაეობის ჩატარებისას გათვალისწინებული იქნება ყველა სამუშაო, რომელიც საჭიროა სისიტემის სრულყოფილი ოპერირებისათვის.

3.არხებში სატუმბების მოწყობაც არის დაგეგმილი?

იგეგმება სისტემების სრული რეაბილიტაცია, მათ შორის სატუმბი სადგურების მოწყობაც. არსებული სისტემები მთლიანად უნდა გაიწმინდოს და შეკეთდეს. სადაც საჭიროა - მოხდეს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. თუ საჭიროება დასაბუთდა და საშუალება იქნა, შესაძლოა არხების ქსელის გაზრდაც.

4.სადრენაჟე არხები მოპირკეთდება თუ მხოლოდ მიწის არხები დარჩება?

ამ ეტაპზე ამაზე პასუხი რთულია. კვლევების შემდეგ შეფასება უნდა გაკეთდეს. უმეტეს შემთხვევაში სადრენაჟე სისტემების მოპირკეთება არ ხდება თუმცა, ყველა საერთაშორისო სტანდარტი რაც დღესდღეობით არსებობს, დაცული იქნება და ამის მიხედვით მიიღება საბოლოო გადაწყვეტილებები. პროექტების დამტკიცებამდე მოხდება მათი განხილვა დაინტერესებულ მხარეებთან.

5.შავღელეს სადრენაჟო სისტემის რეაბილიტაცია სრული იქნება?

დიახ, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია შავღელის სადრენაჟე სისტემის სრული რეაბილიტაცია, რაც მოიცავს როგორც მაგისტრალური კოლექტორის, ასევე შიდა არხების აღდგენა/რეაბილიტაციას.

დამსწრეებს ეჩვენათ აღნიშნული ტერიტორია რუკაზე.

6.მხოლოდ სარეაბილიტაციო სამუშაოები დაფინანსდება თუ სოცილური პროგრამებიც იქნება?

ქალი ფერმერებისთვის საგრანტო მიმართულებაში გათვალისწინებულია შეღავათები, რომელის გამოქვეყნდება საინფორმაციო საშვალებებით და საჯარო შეხვედრებზე, მას შემდეგ რაც დამტკიცდება საგრანტო სახელმძღვანელო. მაგრამ იარსებებს ერთი ურყევი პირობა , გრანტის მიღება შეეძლებათ იმ ქალბატონებს, რომლებიც არიან მფლობელები ან თანამფლობელები იმ მიწის ნაკვეთის, რომელიც ირწყვება სარეაბილიტაციო საირიგაციო სისტემის მიერ.

მიღებული უკუკავშირი:

- ხობის მერი კმაყოფილია გაცნობილი პროექტით და პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის მიერ მიწოდებული ინფორმაციით.

- დამსწრე პირს აქვს ტერიტორიასთან ახლოს აღებული ტერიტორია იჯარით, სადაც აპირებს დაფნისა და

მანდარინის კულტურების განვითარებას. შესაბამისად, აღნიშნული პროექტი მის საქმიანობას ძალიან წაადგება და განავითარებს მის სამომავლო სამეურნეო საქმიანობას.

კომენტარი

- პროექტის შრომითი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სპეციალისტმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების დროს განსახორციელებელი ტრანსპორტის მართვის გეგმას. მათ მიეწოდათ ინფორმაცია თუ რა პრევენციული ღონისძიებები იქნება გატარებული რეაბილიტაციის დროს ადგილობრვი მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის კუთხით.

- დამსწრე საზოგადოების მხრიდან იყო თხოვნა, გაწმენდილიყო არხების მიმდებარედ არსებული ჯაგნარი, რომელის არსებობაც ხელს უშლის სადრენაჟე სისტემის ნორმალურ ექსპულატაციას. მათი თქმით აღნიშნული ჯაგნარი ასევე აფერხებს მიწებზე შესვლასა და აძნელებს მიწის დამუშავების პროცესს. გაჟღერდა თხოვნა, რომ სამუშაოთა დაპროექტების პროცესში გათვალისწინებული ყოფილიყო ამ ტერიტორიის გაწმენდა. ერთჯერადი გაწმენდაც მნიშვნელოვანად დაეხმარებოდა ადგილობრივ ფერმერებს.

შეხვედრის ოქმი N2

შეხვედრის ადგილი: გორის მუნიციპალიტეტი (ქ. გორი, გრიგოლ ფერაძის N5)
შეხვედრის თარიღი: 10 ნოემბერი, 2023 წელი
მონაწილეთა რაოდენობა: 13

შეხვედრა გამართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი, უსაფრთხოებისა და სოციალური საკონსულტაციო ჯგუფმა.
საკონსულტაციო შეხვედრის მიზანი იყო საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციისა და მიწის პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური დოკუმენტაციის გაცნობა დაინტერესებული მხარეებისთვის და უკუკავშირის მიღება. განსახილველი დოკუმენტები იყო: (1) გარემოსდავით და სოციალურ ვალდებულებათა გეგმა, (2) გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტი, (3) დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა, (4) შრომითი ურთიერთობების მართვის პროცედურა, და (5) განსახლების ჩარჩო დოკუმენტი.

შეხვედრას უძღვებოდნენ მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციის და მიწის პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის წარმომადგენლები.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

გორის მუნიციპალიტეტის ცენტრალური სერვისის უფროსის მოადგილე;
ტირიფონის სერვის ცენტრის უფროსი;
შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონის უფროსის მოადგილე;
გორის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი;
გორის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი;
გორის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი;
და გორის მუნიციპალიტეტში საირიგაციო მომსახურებით მოსარგებლე მიწათმფლობელები.

განხილული საკითხები:

პროექტის დაინტერესებულ მხარეებს დეტალურად გაეცნოთ პროექტის გარემოს დაცვით და სოციალური ჩარჩო დოკუმენტი. პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპზე, მსოფლიო ბანკისა და საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი სტანდარტები და ნორმები.
დამატებით განხილულ იქნა: გარე და შიდა საჩივრების მექანიზმი, მსოფლიო ბანკის მიერ დამტკიცებული გენდერული ძალადობისა და შევიწროვების პროცედურა, განსახლების ზოგადი ჩაჩო დოკუმენტის პროცედურები, პროექტის ფარგლებში დამატებით საგრანტო პროგრამების შესაძლებლობა და შრომითი უსაფრთხოების საკითხები. საინჟინრო ჯგუფმა შეხვედრაზე დამსწრეებს გააცნო და მათთან ერთად განიხილა პროექტის გარკვეული ტექნიკური მახასიათებლები, რაც ამ ეტაპისთვის იყო ცნობილი.

წამოჭრილი კითხვები:

1.აიწევს თუ არა სარწყავი სისტემის გადასახადი რეაბილიტაციის შემდეგ ?
წყლის გადასახადს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული

კომისია - (სემეკი) აწესებს. არსებულთან დაკავშირებით გადაწყვეტილება არც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და არც საქართველოს მელიორაციის დონეზე არ მიიღება. შესაბამისად პროექტის განმახორციელებელ ჯგუფს გაუჭირდება ტარიფთან დაკავშირებით ინფორმაციის მოწოდება. ტარიფის დადგენა მოხდება სემეკის მიერ, შესაძლებელია ეს იყოს მომავალში მოხმარებული წყლის მოცულობის მიხედვით.

2.კონკრეტულად რომელ სოფლებს შეეხება პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები?

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ მოხდება უკვე არსებული არხების რეაბილიტაცია. პროექტის ჯამური ტერიტორია შეადგენს 5210 ჰექტარს. ამ ეტაპზე შერჩეული საირიგაციო სქემების მიხედვით სავარაუდოდ განხორციელდება ტაშისკარის, ტირიფონის, ზედა არხის, ზემო ალაზნის, ნარეკვავისა და შავღელეს არხების რეაბილიტაცია. კონკრეტულად ტირიფონის შემთხვევაში, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვდება ტირიფონის სისტემაში შემავალი ყველა სოფელი.

3.მაგისტრალურ არხში წყლის დებეტი იგივე იქნება რაც ახლაა თუ შეიცვლება?

მოხდება მაგისტრალური არხის რეაბილიტირება, მაგრამ ეს არ შეცვლის წყლის მიწოდების მოცულობას.

4.როგორც თქვენთვის ცნობილია ტირიფონის მაგისტრალური არხი 3 მონაკვეთზეა მდებარეობს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, როგორ მოხდება ამ მონაკვეთებზე რეაბილიტაციის სამუშაოების ჩატარება ? თუ ვერ მოხერხდა შესაძლებელი იქნება თუ არა, რომ გაწმენდითი სამუშაოები მაინც ჩატარდეს?

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო აწარმოებს. არც პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი და არც საპროექტო კომპანია ოკუპირებულ ტერიტორიაზე საპროექტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოებას არ გეგმავს. თუმცა, ტექნიკური შეფასების და დაპროექტების დროს ეს საკითხები აუცილებლად იქნება გათვალისწინებული საპროექტო კომპანიის მიერ. აღნიშნულთან დაკავშირებით მჭიდრო კომუნიკაცია იქნება ადგილობრივ მოსახლეობასთან და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან.

მიღებული უკუკავშირი:

- მაგისტრალურ არხში არასაკმარისი გამანაწილებლის გამო, ივნისის თვიდან ჭირს ყველა მიმდებარე სოფლისათვის წყლის საკმარისი მიწოდება. კარგი იქნება თუ პროექტირების ეტაპზე მოხდება ამ საკითხის გათვალისწინება და არხში ისეთი გამანაწილებლის დამონტაჟება, რომელიც უზრუნველყოფს წყლის საკმარისს დებეტს, რათა ზაფხულის სეზონისათვის ყველამ თანაბრად შეძლოს სარგებლობა.

კომენტარი:

სოციალური და განსახლების სპეციალისტმა - ქნ-მა სოფო ბერიშვილმა ისაუბრა როგორც პროექტის ფარგლებში განსახორციელებელ სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, ასევე საირიგაციო პროგრამებსა და მასთან დაკავშირებით ფერმერებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისათვის

სხვადასხვა ტიპის აქტივობებზე.
პროექტის ინჟინერმა, ბნ-მა ლევან ცხოვრებაშვილმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო პროექტის ტექნიკურ მხარე, როგორც რეაბილიტაციის ასევე მოდერნიზაციასა და მოპირკეთების სამუშაოები.

შეხვედრის ოქმი N3

შეხვედრის ადგილი: ახმეტის მუნიციპალიტეტი (ახმეტა, ჩოლოყაშვილის ქუჩა № 49)
შეხვედრის თარიღი: 15 ნოემბერი, 2023 წელი
მონაწილეთა რაოდენობა: 21

შეხვედრა გამართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი, უსაფრთხოებისა და სოციალური საკონსულტაციო ჯგუფმა.

საკონსულტაციო შეხვედრის მიზანი იყო საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციისა და მიწის პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური დოკუმენტაციის გაცნობა დაინტერესებული მხარეებისთვის და უკუკავშირის მიღება. განსახილველი დოკუმენტები იყო: (1) გარემოსდავით და სოციალურ ვალდებულებათა გეგმა, (2) გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტი, (3) დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა, (4) შრომითი ურთიერთობების მართვის პროცედურა, და (5) განსახლების ჩარჩო დოკუმენტი.

შეხვედრას უძღვებოდნენ მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციის და მიწის პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის წარმომადგენლები.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი;
ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი;
ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი;
და ახმეტის მუნიციპალიტეტში საირიგაციო მომსახურებით მოსარგებლე მიწათმფლობელები.

განხილული საკითხები:

პროექტის დაინტერესებულ მხარეებს დეტალურად გაეცნოთ პროექტის გარემოს დაცვით და სოციალური ჩარჩო დოკუმენტი. პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპზე, მსოფლიო ბანკისა და საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი სტანდარტები და ნორმები.

დამატებით განხილულ იქნა: გარე და შიდა საჩივრების მექანიზმი, მსოფლიო ბანკის მიერ დამტკიცებული გენდერული ძალადობისა და შევიწროვების პროცედურა, განსახლების ზოგადი ჩაჩო დოკუმენტის პროცედურები, პროექტის ფარგლებში დამატებით საგრანტო პროგრამების შესაძლებლობა და შრომითი უსაფრთხოების საკითხები. საინჟინრო ჯგუფმა შეხვედრაზე დამსწრეებს გააცნო და მათთან

ერთად განიხილა პროექტის გარკვეული ტექნიკური მახასიათებლები, რაც ამეტაპისთვის იყო ცნობილი.

წამოჭრილი კითხვები:

1.რომელი არსებული ქსელების რეაბილიტაცია იგეგმება? სოფლების ჩამონათვალი თუ გაქვთ?

პროექტის საპრექტო ტერიტორია შეადგენს 6110 ჰექტარს. ამ ეტაპზე შერჩეული საირიგაციო სქემების მიხედვით სავარაუდოდ განხორციელდება ტაშისკარის, ტირიფონის, ზედა არხის, ზემო ალაზნის, ნარეკვავისა და შავღელეს არხების რეაბილიტაცია. კონკრეტულად ზემო ალაზნის შემთხვევაში, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცევა 12 გამანაწილებლი (D-6, D-7, D14, D-29, D-34, D-39, D-42, D-58, D-61, D-75, D-90, D-93) , რომლებზეც ჩატარდება რეაბილიტაციის სამუშაოები.

2.რას გულისხმობს მოდერნიზაცია? ახალი მილსადენის გაკეთებას?

მოდერნიზაცია გულისხმობს საერთაშორისო პრაქტიკისა და სტანდარტების შესაბამისად, არსებული ქსელების განახლებას ანუ არსებულის რეაბილიტაციას იმგვარად, რონ ფერმერებმა მინიმალური დანახარჯებით, მაქსიმალურად ეფექტურად შეძლონ საჭრიო წყლის მიწოდება სასოფლო სამეურნეო კულტურებისთვის.

3.პროქტის ზემოქმედების რა არეალში უნდა იყოს ნაკვეთი რომ საგრანტო ის საგრანტო პროგრამაში მოხვდეს?

ვინაიდან ამ ეტაპზე საბოლოო პროექტი არ არსებობს ზუსტი არეალის განსაზღვრა გაჭირდება. თუმცა სამომავლოდ პროექტში გათვალისწინებული იქნება ადგილობრივ მოსახლეობასთან არა ერთი შეხვედრა რის დროსაც დეტალურად იქნება მოწოდებული ინფორმაცია საგრანტო პროგრამების და მათი მოსარგებლეების შესახებ.

4.ჩამოთვლილი გამანაწილებლების გარდა დანარჩენი სხვა გამანაწილებლების რეაბილიტაცია თუ იგეგმება?

აღნიშნული ჩამონათვალი არის მელიორაციის მიერ შერჩეული და ჯერ-ჯერობით ეს არის რეაბილიტაციის პირველი ფაზა, დანარჩენი თუ სამომავლოდ იგეგმება ჩვენთვის არ არის ცნობილი.

5.რას გულისხმობს მსოფლიო ბანკის დაფინანსებით განხორციელებული პროექტი? სახელმწიფო იღებს კრედიტს?

პროექტი განხორციელებული იქნება სახელმწიფოს თანამონაწილეობით. ბიუჯეტის ნახევარი იქნება სახელმწიფოს თანამონაწილეობა და ნახევარი მსოფლიო ბანკის სესხი.

6.თუ შეგიძლიათ გვითხრათ პროექტის განხორციელების არეალი კილომეტრებში?

ამ ეტაპზე ეს ინფორმაცია არ არის ცნობილი, თუმცა დაგეგმილია შიდა ქსელების სრული რეაბილიტაცია 6110 ჰექტარზე. ამას გარდა, სათავე ნაგებობასა და მაგისტრალურ არხზე საჭიროების შესაბამისად მოხდება სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება.

7.ვის მიერ იქნება ქსელზე წყლის გამანაწილებლების განსაზღვრა ?

დაქსელვა და გამანაწილებლების განსაზღვრა მოხდა საქართველოს მელიორაციის მიერ. ჩამოთვლილი იყო რამდენიმე ტიპის გამანაწილებელი, გადანაწილება და შერჩევა მოხდა საჭიროებისა და აუცილებლობის მიხედვით განსაზღვრული კრიტერიუმებით.

8.როდის დაიწყება და დამთავრდება თითოეული პროექტი?

სავარაუდოდ იანვრის თვეში უკვე შერჩეული უნდა იყოს კომპანია, რომელიც განახორციელებს საპრექტო სამუშაობეს კომპანიამ კონტრაქტის გაფორმებიდან 18 – 20 თვეში უნდა მოამზადოს დიზაინი. დაახლოებით წელიწადნახევარი ან ცოტა მეტი დაჭირდება ყველა პროცედურის გავლას სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე. თუმცა კონკრეტულ პროექტის განხორციელების ვადა ინდივიდუალურად გადაწყდება.

9.მდ. ალაზანზე გარემოზე ზემოქმედების კუთხით რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს პროექტს? იქნება თუ არა საკმარისი წყლის დებეტი, განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში?

ამ ეტაპზე ინფორმაციის მიწოდება გაგვიჭირდება. საპროექტო სამუშაოების ეტაპზე შევძლებთ აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაციის მოწოდებას.

10. მ
ოიცავს თუ არა ალაზნის არხის რეაბილიტაცია თელავის 4 და ახმეტის 4 სოფელს ? რა იქნება ამ პროექტის ბიუჯეტი?

სოფლების ზუსტი დასახელება გაჭირდება, თუმცა იგეგმება 12 გამანაწილებლის რეაბილიტაცია. ამ ეტაპისათვის პროექტის დეტალური ბიუჯეტის დასახელება შეუძლებელია, რაც შეეხება მთლიან პროექტს გამოყოფილია 80 მილიონი აშშ დოლარი.

11. თ
უ გაქვთ ჭაბურღილების მოწყობის გამოცდილება? მაგ: ცხოველების დასაწყურებლად და მსგავსი თუ განიხილება პროექტის ფარგლებში?

არა, ამ პროექტით მსგავსი აქტივობა არ განიხილება.

მიღებული უკუკავშირი:

ილტოს წყალსაცავის რეაბილიტაციის გარეშე ამ არეალში აღნიშნული პროექტის განხორციელება აზრს კარგავს.

შეხვედრის ოქმი N4

შეხვედრის ადგილი: თელავის მუნიციპალიტეტი (თელავი, ერეკლე II-ს გამზ. #16)
შეხვედრის თარიღი: 15 ნოემბერი, 2023 წელი
მონაწილეთა რაოდენობა: 3

შეხვედრა გამართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი, უსაფრთხოებისა და სოციალური საკონსულტაციო ჯგუფმა.
საკონსულტაციო შეხვედრის მიზანი იყო საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციისა და მიწის პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური დოკუმენტაციის გაცნობა დაინტერესებული მხარეებისთვის და უკუკავშირის მიღება. განსახილველი დოკუმენტები იყო: (1) გარემოსდავით და სოციალურ ვალდებულებათა გეგმა, (2) გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტი, (3) დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა, (4) შრომითი ურთიერთობების მართვის პროცედურა, და (5) განსახლების ჩარჩო დოკუმენტი.

შეხვედრას უძღვებოდნენ მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციის და მიწის პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის წარმომადგენლები.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი;
თელავის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი;
თელავის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი;

განხილული საკითხები:

პროექტის დაინტერესებულ მხარეებს დეტალურად გაეცნოთ პროექტის გარემოს დაცვით და სოციალური ჩარჩო დოკუმენტი. პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპზე, მსოფლიო ბანკისა და საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი სტანდარტები და ნორმები.

დამატებით განხილულ იქნა: გარე და შიდა საჩივრების მექანიზმი, მსოფლიო ბანკის მიერ დამტკიცებული გენდერული ძალადობისა და შევიწროვების პროცედურა, განსახლების ზოგადი ჩაჩო დოკუმენტის პროცედურები, პროექტის ფარგლებში დამატებით საგრანტო პროგრამების შესაძლებლობა და შრომითი უსაფრთხოების საკითხები. საინჟინრო ჯგუფმა შეხვედრაზე დამსწრეებს გააცნო და მათთან ერთად განიხილა პროექტის გარკვეული ტექნიკური მახასიათებლები, რაც ამეტაპისთვის იყო ცნობილი.

წამოჭრილი კითხვები:

1.რომელი რუკით იხელმძღვანელებს პროექტის სამუშაო ჯგუფი?

თავიდან ბოლომდე მოხდება ახალი ტოპოგრაფიული რუკის გადაღება და ჩატარდება გეოლოგიური სამუშაოები. შესწავლა დაიწყება ნულიდან, თითქოს და იქ აქამდე სარწყავი ქსელი არ არსებობდა.

მოხდება ძველი ქსელის დემონტაჟი და ახლით ჩანაცვლება.

მიღებული უკუკავშირი:
მელიორაციამ წინა წელს იმუშავა თელავის სარწყავ არხზე. მოხდა 150 ჰექტრის რეაბილიტაცია, თუმცა ერთ გამანაწილებლეზე შეიქმნა პრობლემა. მიზეზი შემდეგი იყო: მილი გადიოდა კერძო პირის საკუთრებაზე. დაახლოებით 25მ. მესაკუთრემ მელიორაციას არ მისცეს ნება სამუშაოები ეწარმოებინა.

ასევე პრობლემა შესაძლოა იმაშიც მდგომარეობდა, რომ მელიორაციის 600 მმ-იანი მილი კერძო ნაკვეთებზე გადიოდა. სახნავი სამუშაოების დროს შესაძლოა მოხდარიყო ამ მილის დაზიანება, აღნიშნული გარემოება კი პრობლემას შეუქმნიდა ადგილობრივ მოსახლეობას.

კომენტარი:

- მაგისტრალურ არხზე კანალიზაციაა დაერთებული, რაც სამუშაოების წარმოების დროს გასათვალისწინებელი იქნება. მოსაწყობი იქნება საკანალიზაციო სისტემებიც. ასეთი შემთხვევები ადრეც ყოფილა, რის დროსაც ადგილობრივმა მოსახლეობისთვის მოეწყობა შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

შეხვედრის ოქმი N5

შეხვედრის ადგილი: ხაშურის მუნიციპალიტეტი (ქ. ხაშური, ტაბიძის N2)
შეხვედრის თარიღი: 17 ნოემბერი, 2023 წელი
მონაწილეთა რაოდენობა: 26

შეხვედრა გამართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი, უსაფრთხოებისა და სოციალური საკონსულტაციო ჯგუფმა.
საკონსულტაციო შეხვედრის მიზანი იყო საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციისა და მიწის პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური დოკუმენტაციის გაცნობა დაინტერესებული მხარეებისთვის და უკუკავშირის მიღება. განსახილველი დოკუმენტები იყო: (1) გარემოსდავით და სოციალურ ვალდებულებათა გეგმა, (2) გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტი, (3) დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა, (4) შრომითი ურთიერთობების მართვის პროცედურა, და (5) განსახლების ჩარჩო დოკუმენტი.

შეხვედრას უძღვებოდნენ მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციის და მიწის პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის წარმომადგენლები.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

ხაშურის საკრებულოს დეპუტატი;
ხაშურის მერიის წარმომადგენელი;
ხაშურის მერიის წარმომადგენელი;
ხაშურის მერიის წარმომადგენელი;
და ხაშურის მუნიციპალიტეტში საირიგაციო მომსახურებით მოსარგებლე მიწათმფლობელები.

განხილული საკითხები:

პროექტის დაინტერესებულ მხარეებს დეტალურად გაეცნოთ პროექტის გარემოს დაცვით და სოციალური ჩარჩო დოკუმენტი. პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპზე, მსოფლიო ბანკისა და საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი სტანდარტები და ნორმები.

დამატებით განხილულ იქნა: გარე და შიდა საჩივრების მექანიზმი, მსოფლიო ბანკის მიერ დამტკიცებული გენდერული ძალადობისა და შევიწროვების პროცედურა, განსახლების ზოგადი ჩარჩო დოკუმენტის პროცედურები, პროექტის ფარგლებში დამატებით საგრანტო პროგრამების შესაძლებლობა და შრომითი უსაფრთხოების საკითხები. საინჟინრო ჯგუფმა შეხვედრაზე დამსწრეებს გააცნო და მათთან ერთად განიხილა პროექტის გარკვეული ტექნიკური მახასიათებლები, რაც ამეტაპისთვის იყო ცნობილი.

წამოჭრილი კითხვები:

1. გვაინტერესებს გრანტის მიღება იზღუდება თუ არა მიწის ფართობი მიხედვით?

ამ ეტაპისთვის საგრანტო სახელმძღვანელო დამუშავების პროცესშია. ამ დოკუმენტით განისაზღვრება ვინ შეძლებს საგრანტო პროგრამაში მონაწილეობის მიღებას, კერძოდ: მინიმუმ რამდენ ჰექტარ მიწას

უნდა ფლობდეს ბენეფიციარი და ასევე იქნება სია, თუ რომელი სასოფლო სამეურნეო კულტურები დაფინანსდება. საგრანტო კონკურსის გამოცხადებამდე ჩატარდება საჯარო შეხვედრები მოსახლეობასთან. კონკურსის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდება სამინისტროს და სოფლის განვითარების სააგენტოს ვებ გვერდებზე.

2.როდის არის პროექტის დაწყების სავარაუდო დრო?

სავარაუდოდ იანვრის თვეში უკვე შერჩეული უნდა იყოს კომპანია, რომელიც განახორციელებს საპრექტო სამუშაობეს. კომპანიამ კონტრაქტის გაფორმებიდან 18 – 20 თვეში უნდა მოამზადოს დიზაინი. დაახლოებით წელიწადნახევარი ან ცოტა მეტი დაჭირდება ყველა პროცედურის გავლას სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე.

3.სარწყავ არხს, პატარა ახალ-სოფლის მოსახლეობას 900 მეტრი გვაშორებს. გვაინტერესებს როდის მოხდება ამ მონაკვეთის შეკეთება?

თუ სიტუაცია გადაუდებელი და ავარიულია აჯობებს ამ შემთხვევაში მელიორაციას მიმართოთ. პროექტი აპრილში დაიწყება და დაახლოებით 18 თვე გასტანს, შესაბამისად პროცესი შეიძლება გაჭიანურდეს.

4.ქარელში ნორმალური სიტუაციაა, ხაშურში ძალიან რთულია ამ მხრივ. ამას ის ემატება, რომ 2 სატუმბი სადგური გაიძარცვა და მარტო შენობები დარჩა, რის შემდეგაც არ მოხდა მათი აღდგენა. (საუბარია ხცისის სატუმბ სადგურზე - 800 ჰექტარი ; ვაყის სატუმბი- 3400 ჰექტარი). ითვალისწინებს თუ არა პროექტი მსგავსი შემთხვევების მოწესრიგებას ? თუ მხოლოდ ფერმერებისთვის სარწყავი არხების მოწყობა არის გათვალისწინებული?

რაც შეეხება სატუმბებს, ამ ეტაპზე არ გვაქვს დაზუსტებული ინფორმაცია და დაგიზუსტებთ. რაც გრავიტაციით (თვით-დინებით ირწყვება) ისინი ნამდვილად გათვალისწინებული იქნება პროექტით.

5.საირიგაციო სისტემის მოწყობის შემდეგ, წყლის გადასახადი ადგილობრივი მოსახლეობისათვის უცვლელი დარჩება?

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პროექტის სამუშაო ჯგუფის მხრიდან პასუხის გაცემა გაჭირდება.

6.შიდა ქსელი პროექტირების დროს ყველა გამანწილებელი შემოწმდება ? (დაზიანებულია „ლატოკები“) თუ მომართვა იქნება საჭირო მოსახლეობის მხრიდან ?

მომართვა საჭირო არ იქნება. თავად პროექტი ითვალისწინებს მთლიან ქსელზე ინვენტარიზაციას, თუ აღდგენის საჭიროებაა აღდგება, ხოლო დემონტაჟის შემთხვევაში ახალი მოეწყობა. უმეტეს შემთხვევაში, პრაქტიკამ აჩვენა რომ რკინაბეოტონის ღარები („ლატოკები“) სრულად იცვლება ხოლმე.

მიღებული უკუკავშირი:

- სოფელ 9 მუხაში არის ბეტონის „ლატოკები“ რომელიც დიდი ხნის შესაკეთებელია. სარწყავი არხი ზუსტად სოფლის პირას ჩამოდის. ეს საკითხი მისახედია, რადგან სარწყავი არხი ზუსტად სოფლის პირას

ჩამოდის.

პროექტის განხორციელების არელი, მოიცავს პირველად საპრექტო არეალს, ანუ რაც ირწყვებოდა თავდაპირველად იგივე ფართობზე ჩატარდება სარეაბლიტაციო სამუშაოები ეხლაც. ყველაფერი გარემონტდება და მიეცემა პირველადი სახე, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

- მთავარია აღდგეს მთავრი მაგისტრალები, დანარჩენს სოფელიც მივხედავს.

- კარგი იქნება მოხდეს სიტუაციის ადგილზე შესწავლა.

კომენტარი:

- მთავარია, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობით მოხდეს პროექტის შემუშავება და განხორციელება. ლიახვის არხის შემთხვევაში იყო ჩართულობის პრობლემა, რამაც პროექტის განხორციელების და დასრულების ეტაპზე ბევრი ღია საკითხი დატოვა.

- თხოვნაა, რომ პროექტირების ეტაპზე, საპროექტოს მხრიდან იყოს ადგილობრივ მოსახლეობასთან მუდმივი კომუნიკაცია და ინფორმაციის მიწოდება. მოსახლეობა ჩართული იყოს პროცესში. დარწმუნებული ვართ მათგან შეიძლება მოხდეს ისეთი ინფორმაციის მიწოდება, რაც პროექტის ჯგუფისათვის იმ ეტაპზე უცნობი და ძალიან გამოსადეგი იყოს.

- სოფელ ვაყაში, ცენტრალური მაგისტრალიდან დიდი ოდენობით წყლის გაჟონვა ხდება, რამაც მეწყერი გამოიწვია. ტერიტორია სრულად დაჭაობდა, სოფლის მისასვლელი გზა მოწყვეტილია. თხოვნა გვექნება გათვალისწინებული იყოს აღნიშნული გარემოება და მოხდეს ცენტრალური მაგისტრალის შეკეთება.

- მელიორაციის ინფორმაციით შიდა ქსელები არ არის ადგილობრივი მოსახლეობის ბალანსზე. ადრე ასოციაციები იყო ჩამოყალიბებული მსოფლიო ბანკის დაფინანსებით. შემდეგ დაიშალა და მუნიციპალიტეტებს უნდა ჩაბარებოდათ. მნიშვნელოვანია შიდა ქსელები ჩაბარდეს მსგავს შიდა რგოლს რადგან არსებული სისტემების მართვა ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობით აუცილებელია. უმჯობესი იქნება წყალ-მომხმარებელთა ასოციაციები კვლავ ჩამოყალიბდეს.

დიახ, წინა პროექტში იყო მსგავსი მიდგომა. იგეგმება, რომ ასეთი ასოციაციები ახლაც ჩამოყალიბდეს, რომლებიც ფერმერებით იქნება დაკომპლექტებული.

- მსგავსმა ასოციაციებმა ადრე არ გაამართლა, რადგან არ არსებობდა ზემდგომი ორგანო რომელიც მათ ასოციაციებს გააკონტროლებდა. ასეთის არსებობა აუცილებელია.

შეხვედრის ოქმი N6

შეხვედრის ადგილი: ბოლნისის მუნიციპალიტეტი (ქ. ბოლნისი სულხან-საბა ორბელიანის N106)
შეხვედრის თარიღი: 1 დეკემბერი, 2023 წელი
მონაწილეთა რაოდენობა: 26
ეთნიკური უმცირესობა: - 3 აზერბაიჯანელი ადგილობრივი მოსახლე.

შეხვედრა გამართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი, უსაფრთხოებისა და სოციალური საკონსულტაციო ჯგუფმა.
საკონსულტაციო შეხვედრის მიზანი იყო საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციისა და მიწის პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური დოკუმენტაციის გაცნობა დაინტერესებული მხარეებისთვის და უკუკავშირის მიღება. განსახილველი დოკუმენტები იყო: (1) გარემოსდავით და სოციალურ ვალდებულებათა გეგმა, (2) გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტი, (3) დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა, (4) შრომითი ურთიერთობების მართვის პროცედურა, და (5) განსახლების ჩარჩო დოკუმენტი.

შეხვედრას უძღვებოდნენ მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციის და მიწის პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის წარმომადგენლები.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი;
ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი;
და ბოლნისის მუნიციპალიტეტში საირიგაციო მომსახურებით მოსარგებლე მიწათმფლობელები.

განხილული საკითხები:

პროექტის დაინტერესებულ მხარეებს დეტალურად გაეცნოთ პროექტის გარემოს დაცვით და სოციალური ჩარჩო დოკუმენტი. პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპზე, მსოფლიო ბანკისა და საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი სტანდარტები და ნორმები.

დამატებით განხილულ იქნა: გარე და შიდა საჩივრების მექანიზმი, მსოფლიო ბანკის მიერ დამტკიცებული გენდერული ძალადობისა და შევიწროვების პროცედურა, განსახლების ზოგადი ჩაჩო დოკუმენტის პროცედურები, პროექტის ფარგლებში დამატებით საგრანტო პროგრამების შესაძლებლობა და შრომითი უსაფრთხოების საკითხები. საინჟინრო ჯგუფმა შეხვედრაზე დამსწრეებს გააცნო და მათთან ერთად განიხილა პროექტის გარკვეული ტექნიკური მახასიათებლები, რაც ამეტაპისთვის იყო ცნობილი.

წამოჭრილი კითხვები:

1.იგეგმება თუ არა მაშავერას სარწყავი სისტემის რეაბილიტაციაც?

არა, პროექტის გათვალისწინებულია კონკრეტულად ზედა-არხის რეაბილიტაციაზე.

2.საკმარისი იქნება ზედა -არხის სარწყავი სისტემა მთელი ბოლნისისთვის? ახლა არსებული სისტემა არ ყოფნის შუა არხს (სოფლის არხს), და სოფლის სახლებს. ამჟამად შუა არხის სისტემა გაუქმებულია. ითვალისწინებს თუ არა პროექტი მის რეაბილიტაციას? ამ ნაწილზე მიბმულია დაახლოებით 1500 ოჯახის საკარმიდამო ნაკვეთები. ეს სოფლის არხი დღეს ურწყავია და გადამხმარია.

პროექტით გათვალისწინებულია ზედა -არხით მორწყავდი ყველა ნაკვეთი, რაც მთლიანობაში 1500 ჰექტარია. თუ აღნიშნულ მონაკვეთს მოიცავს შუა არხის სისტემაც, მაშინ ესეც გათვალისწინებული იქნება.

3 . როდიდან იგეგმება სამუშაოების დაწყება?

სავარაუდოდ იანვრის თვეში უკვე შერჩეული უნდა იყოს კომპანია, რომელიც განახორციელებეს საპრექტო სამუშაოებს. კომპანიამ კონტრაქტის გაფორმებიდან 18 – 20 თვეში უნდა მოამზადოს დიზაინი. დაახლოებით წელიწადნახევარი ან ცოტა მეტი დაჭირდება ყველა პროცედურის გავლას სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე.

4. იგეგმება თუ არა დაქსელვა და სარწყავი სისტემის მოწყობა ყველა სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთამდე ?

კი ზუსტად ასე იგეგმება. გაკეთებული იქნება დახურული და ღია სისტემები. დახურული სისტემის უპირატესობა იმაში მდგომარეობს რომ ამ დროს წყლის დანაკარგი მაქსიმალურად შემცირდება. პროექტის მიზანია წყალი დანაკარგების გარეშე, ყველასთვის თანაბრად იყოს ხელმისაწვდომი.

მიღებული უკუკავშირი:

- ზედა-არხის რეაბილიტაცია მნიშვნელოვანია, მაგრამ შუა-არხის რეაბილიტაცია უფრო საჭირო და პრობლემურია, ეს არხი 4 კუბ წყალს ატარებდა.

- თუ არის შესაძლებელი, რომ ზედა-არხი სოფლის არხთან იქნას დაკავშირებული და ცალკე იყოს რეაბილიტირებული შუა-არხი. სოფლის არხიდან ძალიან ბევრი მიწები ირწყებოდა, ეხლა არ ფუნქციონირებს ეს არხი და სოფლის მიწები საძოვრებადაა გადაქცეული და გამხმარია. წლებია არ ირწყვება.

აღნიშნულთან დაკავშირებით საჭიროა მოკვლევისა და ანალიზის ჩატარება. საპროექტო ორგანიზაციის მიერ სამუშაოს დაწყების შემდეგ უფრო მეტი დეტალი გახდება ცნობილი.

აღნიშნული შეხვედრის მიზანი პროექტთან დაკავშირებით ზოგადი ინფორმაციის გაცნობაა. მას შემდეგ რაც საპროექტო დაიწყებს მუშაობას უფრო დეტალურად მოხდება პროექტების განხილვა და ადგილობრივ მოსახლეობასთან გაცნობა. მნიშვნელოვანია ადგილობრივი ფერმერები აქტიურად იყვნენ ჩართული პროექტის განხორციელების ეტაპზე. გაიმართება არა-ერთი საჯარო განხილვა, სადაც მოხდება თითოეულ გამანაწილებელზე ინფორმაციის გაცნობა და უკუკავშირის მიღება.

- გასათვალისწინებელი და მოსაწესრიგებელია ასევე დაქსელვის სისტემა. არათანაბარმა გადანაწილებამ

გამოიწვია ის, რომ ზოგი ფერმერისათვის შესაძლებელი იყო პირობითად დღეში 5 ჯერ მორწყვა, ზოგი კი საერთოდ ვერ რწყავდა.

ამ ნაწილში ჩატარებული იქნება გარკვეული ტრეინინგები, ფერმერთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, რათა მათ იცოდნენ და ისწავლონ როგორ გამოიყენონ წყალი მიზნობრივად და საჭიროების მიხედვით კონკრეტულ კულტურას შესაბამისად. ასევე აღებული იქნება მიწის ანალიზები, რათა განსაზღვრული იყოს, რომელი კულტურის დარგვა იქნება უკეთესი კონკრეტული შედეგებიდან გამომდინარე.

შეხვედრის ოქმი N 7

შეხვედრის ადგილი: დუშეთის მუნიციპალიტეტი (ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. N27)
შეხვედრის თარიღი: 6 დეკემბერი, 2023 წელი
მონაწილეთა რაოდენობა :15

შეხვედრა გამართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი, უსაფრთხოებისა და სოციალური საკონსულტაციო ჯგუფმა.
საკონსულტაციო შეხვედრის მიზანი იყო საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციისა და მიწის პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური დოკუმენტაციის გაცნობა დაინტერესებული მხარეებისთვის და უკუკავშირის მიღება. განსახილველი დოკუმენტები იყო: (1) გარემოსდავით და სოციალურ ვალდებულებათა გეგმა, (2) გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტი, (3) დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა, (4) შრომითი ურთიერთობების მართვის პროცედურა, და (5) განსახლების ჩარჩო დოკუმენტი.

შეხვედრას უძღვებოდნენ მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციის და მიწის პროექტის განმახორციელებელი ჯგუფის წარმომადგენლები.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენელი, ჟინვალის ადმინ. ერთეული;
მერიის წარმომადგენელი მაღაროს კარის ადმინ. ერთეული;
მერიის წარმომადგენელი, ჭოპორტის ადმინ. ერთეული;
დუშეთის მერიის ეკონომიკური სამსახურის უფროსი;
და დუშეთის მუნიციპალიტეტში საირიგაციო მომსახურებით მოსარგებლე მიწათმფლობელები.

განხილული საკითხები:

პროექტის დაინტერესებულ მხარეებს დეტალურად გაეცნოთ პროექტის გარემოს დაცვით და სოციალური ჩარჩო დოკუმენტი. პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპზე, მსოფლიო ბანკისა და საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი სტანდარტები და ნორმები.

დამატებით განხილულ იქნა: გარე და შიდა საჩივრების მექანიზმი, მსოფლიო ბანკის მიერ დამტკიცებული გენდერული ძალადობისა და შევიწროვების პროცედურა, განსახლების ზოგადი ჩაჩო დოკუმენტის პროცედურები, პროექტის ფარგლებში დამატებით საგრანტო პროგრამების შესაძლებლობა და შრომითი უსაფრთხოების საკითხები. საინჟინრო ჯგუფმა შეხვედრაზე დამსწრეებს გააცნო და მათთან ერთად განიხილა პროექტის გარკვეული ტექნიკური მახასიათებლები, რაც ამ ეტაპისთვის იყო ცნობილი.

წამოჭრილი კითხვები:

1.წყალსაცავი მდებარეობს გრემისხევის ადმინისტრაციულ ერთეულში. იგეგმება თუ არა ამ ტერიტორიის დაქსელვა?

გრემისხევის დაქსელვა არ არის პროექტით გათვალისწინებული. იგეგმება მხოლოდ წყლის სატუმბის შეძენა.

2.დუშეთის მუნიციპალიტეტს როგორ შეეხება ეს პროექტი?

გაიწმინდება წყალსაცავი, სატუმბი დანადგარი დამონტაჟდება, მოხდება მეტი წყლის აკუმულირება, რაც ხელს შეუწყობს რწყვის ხარისხის გაუმჯობესებას.

3.პროექტის დაწყების თარიღი როდის იგეგმება?

სავარაუდოდ იანვრის თვეში უკვე შერჩეული უნდა იყოს კომპანია, რომელიც დაიწყებს საპრექტო სამუშაოებს. კომპანიამ კონტრაქტის გაფორმებიდან 18 – 20 თვეში უნდა მოამზადოს დიზაინი. დაახლოებით წელიწადი ან ცოტა მეტი დაჭირდება ყველა პროცედურის გავლას სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე.

კომენტარი:

1.თუ სატუმბი სადგური არ იქნება დამონტაჟებული, მაშინ აზრი ეკარგება სარეაბილიტაციო სამუშაოებს. ადრე ბაზალეთის ტბიდან მოდიოდა წყალი სატუმბი სადგურის მეშვეობით და ასე ირწყებოდა ეს მიდამოები. თუ ამ სქემის აპირებთ პროექტის განხორციელებას, ადგილობრივ მოსახლეობას ეს სარგებელს ვერ მოუტანს.

2.გრემის ხევზე თუ ყოფილხართ და გინახიათ გრემის ხეობა, რომელიც გატყევებულია და გაველურებულია ,მდინარის ჭალაში გაუვალი ტყეა. გარემოს დაცვის კუთხით მანდ სავალალო მდგომარეობაა. ამას ყურადღება უნდა მიექცეს.

გთხოვთ აღნიშნული საკითხი დააყენოთ საპროექტო ორგანიზაციასთან, რომელიც აქტიურ კომუნიკაციაში იქნება ადგილობრივ მოსახლეობასთან პროექტირების ეტაპზე. შესაბამისად საპროექტო შეისწავლის მთელს არეალში რა მდგომარეობაა ამ მხრივ.

3.არხის მარცხენა მხარეს არის ძირითადი მინდვრები რომელიც საჭიროებს მორწყვას. ეს თუ არის გათვალისწინებული პროექტით.

პროექტით არხის მარცხენა მხარის რეაბილიტაცია არ არის გათვალისწინებული. მაგრამ მოსახლეობას შეუძლია წერილობით მიმართოს სამინისტროს და დააფიქსიროს მოთხოვნა.

4.მდინარის კალაპოტისა და ჭალის გაწმენდის გარეშე არ აქვს აზრი რაიმეს გაკეთებას. ისინი არ გაწმენდილა ბოლო 5 წლის განმავლობაში. ჭალის უქონლობის გამო წყალდიდობის დროს დატბორვის საშიშროება იქმნება.

გრემისხევის სოფლის რწმუნებულს დაინტერესა, რადგან ეს წყალსაცავი გრემის ხევში მდებარეობს, რატომ მოიხსენიებოდა ის როგორც ნარეკვავის წყალსაცავი. ამ სისტემის ირგვლივ ადრე 1200 ნაკვეთი იყო. ახლა სისტემა არ ირწყვება და ნაკვეთების რაოდენობა შემცირდა.

გარემოს დაცვის კუთხით საყურადღებო საკითხია მდინარეში თევზის არ არსებობა.

დამსწრეებმა მოითხოვეს მთლიანი სისტემის რეაბილიტაცია. ასევე დაისვა კითხვა ვის სახელზე უნდა

დაწერილიყო წერილი აღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის.

წერილი აღნიშნული მოთხოვნით უნდა დაიწეროს სამინისტროსა და მელიორაციის სახელზე.

დანართი 2. უკუკავშირის ფორმა

მონაწილე მხარეთა კატეგორია: ◻ ზემოქმედების ქვეშ მყოფი მხარე ◻ ზემოქმედების ქვეშ მყოფი სხვა მხარე ◻ მოწყვლადი ჯგუფი უკუკავშირის მიმწოდებლის ინსტიტუციონალური აფილირება: უკუკავშირის თარიღი:			
პროექტის სახელი: კრედიტორის//გრანტის მიმღების /სახელი: უკუკავშირზე რეაგირებაზე პასუხისმგებელი პირი (თუ არსებობს)			
უკუკავშირის სახე	კომენტარი	შეშფოთება	უკუკავშირზე რეაგირება

დანართი 3. საჯარო კონსულტაციების დოკუმენტი

მონაწილე მხარის ინსტიტუციონალური აფილირება: ----------

კონსულტაციების ადგილი და ფორმა: ----------

კონსულტაციის თარიღი ----------

მონაწილეთა რაოდენობა -------

მოწყვლადი ჯგუფების წევრების რაოდენობა და კატეგორია (თუ შესაბამისია) --------

განხილული საკითხები:
-
-
-
-
წამოჭრილი კითხვები:
-
-
-
-
მიღებული უკუკავშირები:
-
-
-

კომენტარები –
-
-
-

შეშფოთების საგანი -
-
-
-
მონაწილე მხარის წარმომადგენელი: პროექტის განმახორციელებელი ერთეული/წარმომადგენელი კონტრაქტორი/საზედამხედველო კომპანია :

დანართი 4. საჩივრების ჟურნალი

მომჩივანის სახელი: მომჩივანის ინსტიტუციონალური აფილირება: ანგარიშის თარიღი:			
პროექტის სახელი: კრედიტორის/გრანტის მიმღების სახელი: საჩივრის გადაწყვეტაზე პასუხისმგებელი პირი (თუ არსებობს):			
საჩივრის ხასიათი	პასუხი	მიღებული ზომები	შემდგომი მოვლენები

დანართი 5. საჩივრის შესახებ საჯარო ანგარიშის ფორმა

GRM-ის დანიშნული მოხელე	მომჩივანის სახელი, თუ საჩივარი არ არის ანონიმური	საჩივრის ხასიათი	მიღებული ზომები	შემდგომი მოვლენები	საჩივრების ჯამური რაოდენობა	დაკმაყოფილებული საჩივრების რაოდენობა